გიორგი მელაძე,* ანა ქვანია,** ნიკოლაი კოვალევი***

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი საქართველოში – ნემსი თივის ზვინში[1]

„მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთის სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა ...ი. ჭავჭავაძე, „სამართალი და შურისძიება“, ივერია, 25 თებერვალი, 1889 წ. თბილისი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია საქართველოს სასამართლოებში ნაფიც მსაჯულთა შერჩევის არსებულ პრაქტიკას იკვლევს. კვლევა ეფუძნება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებზე დაკვირვების შედეგებს და მოსამართლეების, ადვოკატების, პროკურორების, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების, სამოქალაქო აქტივისტებისა და ჟურნალისტების გამოკითხვას საქართველოს შვიდ ქალაქში, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები ფუნქციონირებს. ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, რომელიც ზოგჯერ გაუმართლებლად ჭიანურდება, ქართული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „აქილევსის ქუსლია“.

კვლევა აანალიზებს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხვადასხვა ეტაპს: ნაფიც მსაჯულთა სიების შედგენას, მოქალაქეთა გამოძახებას, გამოძახების მიღებას, მსაჯულის კითხვარების შევსებასა და წარდგენას, შერჩევაზე გამოცხადებას, თვითაცილებებსა და მხარეთა აცილებებს, და ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის დაკომპლექტებას. მისი მიზანია გამოავლინოს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესის ძირითადი პრობლემები და შეიმუშაოს წინადადებები პოლიტიკის შემქმნელებისა და პრაქტიკოსებისთვის.

საქართველომ კანონმდებლობით ნაფიც მსაჯულთა შერჩევის უნივერსალური მიდგომა შემოიღო, თუმცა, კვლევა ცხადყოფს, რომ პრაქტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება დაწერილი

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი საჯარო სამართლის მიმართულებით

** დამოუკიდებელი მკვლევარი

*** ვილფრიდ ლორიეს უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ბარისტერი და სოლისიტორი.

1 სტატია შეიქმნა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2017-2020 წლებში დაფინანსებული კვლევითი პროექტის – „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმა საქართველოში: პირველი ნაბიჯები და პირველი გამოწვევები“– ფარგლებში მიღებული შედეგების საფუძველზე.

კანონისგან. ეს ნაშრომი არის პირველი ემპირიული კვლევა საქართველოში, რომელიც ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესს იკვლევს. ის პოლიტიკის შემქმნელებსა და პრაქტიკოსებს ამ პროცესის უკეთ დანახვის საშუალებას აძლევს და გვთავაზობს რეკომენდაციებს, რომელიც ხელს შეუწყობს პროცესის ეფექტიანობისა და ქმედითობის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: მოქალაქეთა მონაწილეობა; ნაფიც მსაჯულთა შერჩევა; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; საქართველო; ნაფიც მსაჯულთა რეფორმა.

1. შესავალი

შეიძლება ითქვას, რომ განვითარებადი ქვეყნებისთვის დემოკრატიულ ტრანზიციაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და, შესაძლოა, ურთულესი მიმართულება სასამართლო სისტემის რეფორმაა. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ სფეროებს, რომლებიც მოითხოვს მოქალაქეთა ჩართულობის მაღალ ინტენსივობას, როგორც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემტხვევაში გვხვდება. დემოკრატიული ტრანზიცია მოიაზრებს მოქალაქეობრივი მონაწილეობის ფორმებისა და რაოდენობის ზრდას. საქართველოს შემთხვევაშიც დემოკრატიული ტრანზიციის ნაწილად აღიქმებოდა, როდესაც 2010 წელს ქვეყანაში პირველად ჩატარდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ეს მოვლენა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო პირველი ქვეყანა იყო ევროპაში, რომელმაც აღნიშნული ცვლილების განხორციელება 21-ე საუკუნეში შეძლო.[2] რეფორმის მომხრეები ნაფიც მსაჯულთა სისტემის დანერგვას სასამართლო დამოუკიდებლობის დამატებით ბერკეტად განიხილავდნენ და, ამასთან, აქტიური მოქალაქეობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების ინსტრუმენტადაც მოიაზრებდნენ.

მიუხედავად გასული წლებისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემა კვლავ შედარებით ახალ ინსტიტუტად ითვლება, რომელიც განვითარების ადრეულ ეტაპზეა და მუდმივად საჭიროებს გაუმჯობესებასა და რეფორმირებას. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემის მნიშვნელობა, მისი ევოლუცია და ადგილი ქართულ საზოგადოებაში აკადემიური კვლევისთვის მრავალ შესაძლებლობას ხსნის. მნიშვნელოვანი საკითხებია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ დამოკიდებულების ცვლილება, ნაფიცი მსაჯულების მნიშვნელოვანი მოვალეობის შემსრულებლებად აღქმა, რეფორმის შესახებ დისკუსიის მნიშვნელობის გაგება და საზოგადოებისთვის მისი საჭიროების გადაფასება. ყველა ამ საკითხზე საჭიროა მსჯელობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმის განხილვისას.

2 საინტერესოა აღინიშნოს, რომ სხვა ევროპულმა სახელმწიფოებმა ბოლო 20 წლის განმავლობაში შეცვალეს ან გააუქმეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. იხ., მაგალითად: John D. Jackson and Nikolai P. Kovalev, "Lay Adjudication in Europe: The Rise and Fall of the Traditional Jury", 6(2) Oñati Socio-Legal Series (2016), 368-395; Sanja Kutnjak Ivkovic, Shari Seidman Diamond, Valerie P. Hans and Nancy S. Marder (eds.), Juries, Lay Judges, and Mixed Courts: A Global Perspective (Cambridge University Press, Cambridge, 2021).

მოსალოდნელი იყო[3] საზოგადოების კეთილგანწყობა ნაფიც მსაჯულთა[4] სასამართლოს რეფორმის მიმართ, თუმცა შესამჩნევ წინააღმდეგობას წააწყდა რეფორმა პოლიტიკური ფიგურებისა და იურიდიული პროფესიონალების მხრიდან. ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსისა და იურიდიული პროფესიონალის თავდასხმები ნაფიც მსაჯულთა სისტემის წინააღმდეგ კვლავ გრძელდება. როგორც უზენაესი სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნინო გვენეტაძემ, ამ სტატიის ერთ-ერთ თანაავტორთან ღია დისკუსიის დროს აღნიშნა, მას უბრალოდ არ სწამდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსი.[5] სინამდვილეში, ეს კომენტარი ზუსტად ასახავს იმ პრობლემას, რომელიც უკავშირდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ იდეოლოგიურ ნარატივს, რომელიც დომინირებს საქართველოს სამართლებრივ საზოგადოებაში. ამიტომ, ავტორების მიზანია, გასცდნენ იდეოლოგიურ ჩარჩოს და წამოიწყონ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმის შესახებ პრობლემაზე ორიენტირებული დისკუსია.

ნაფიც მსაჯულთა რეფორმის ირგვლივ დებატები 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მალევე გამწვავდა. ახალი მთავრობა ღიად აკრიტიკებდა რეფორმას და მიანიშნებდა, რომ მას ჰქონდა იდეოლოგიური და სისტემური პრობლემები ამ ინსტიტუტთან. რეფორმის კრიტიკოსები სუსტ წერტილებად ასახელებდნენ მაღალ ხარჯებს, ნაფიც მსაჯულთა არაკომპეტენტურობასა და „სანდო ნაფიცი მსაჯულების“ შერჩევის სირთულეებს, რაც მათი აზრით რეფორმას ლეგიტიმაციას უკარგავდა.[6]

მთავრობის საპარლამენტო მდივანმა, შემდგომში უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ბატონმა შალვა თადუმაძემ, ნაფიც მსაჯულთა მიამრთ სკეპტიციზმი გამოხატა საპარლამენტო კომიტეტისადმი მიმართვისას, როდესაც 2016 წლის 21 ივნისს წარმოადგინა რეფორმის პაკეტი.[7] იმ დროს შესარჩევ პროცედურასთან დაკავშირებული რეფორმა უმნიშვნელო იყო და გავლენას ახდენდა მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა კვალიფიკაციაზე. მან გააფართოვა კვალიფიცირებულ კანდიდატთა სია და ფსიქოლოგებს, ფსიქიატრებს, იურისტებს და ა.შ. მონაწილეობის უფლება მისცა[8]

---

3 საზოგადოებამ გამოხატა მკაფიო დადებითი დამოკიდებულება და რეფორმა სასამართლოების გაუმჯობესების მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნია. ერთ კვლევაში რესპონდენტთა 66%-მა განაცხადა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები ხელს შეუწყობს ხალხის ნდობის გაზრდას. იხილეთ, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, „დამოკიდებულება სასამართლო სისტემის მიმართ საქართველოში, 2014“, CRRC საქართველო, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://caucasusbarometer.org/en/ji2014ge/IMPACRT/?fbclid=IwAR2yeSCj80Zx5IcWW65IPiX-IX2DL-vQ-WT-cLnafQoUT18GNDJKkQRIe3_M.

4 ეს აღინიშნა ექსპერტთა სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტთა უმრავლესობის მიერ 2018 წლის აპრილ-ივნისში, პროექტის პირველი ეტაპის ანგარიშში, კვლევითი პროექტი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმა საქართველოში: პირველი ნაბიჯები და პირველი გამოწვევები“.

5 კომენტარი გაკეთდა ადვოკატებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ღია შეხვედრის დროს, 2015 წლის 11 მარტს, თბილისში, მას შემდეგ, რაც ქალბატონი გვინეტაძე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე იყო ნომინირებული.

6 ნიკოლაი კოვალევი, გიორგი მელაძე და ანა ჟვანია, მედია მონიტორინგის ანგარიში კვლევითი პროექტის ფარგლებში „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმა საქართველოში: პირველი ნაბიჯები და პირველი გამოწვევები,“ პრეზენტაცია 2018 წლის 1 მაისი. (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018), ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია: https://conlaw.iliauni.edu.ge/naphits-msajultha-sasamarthlo-mediashi-1998-2018/

7 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ; მომხსენებელი: შალვა თადუმაძე. ქართულად ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/12141.

8 იქვე.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქვაკუთხედია. სკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და შეუძლებელი იქნება „ობიექტური ნაფიცი მსაჯულების"[9] შერჩევა. შერჩევის მთელი პროცესის გულდასმით შესწავლის საფუძველზე, სტატია გვთავაზობს არსებული გამოწვევების ანალიზს და კონკრეტულ ზომებს, რომლებიც სასამართლო ხელისუფლებას დაეხმარება, უპასუხოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებზე მზარდ მოთხოვნას და უზრუნველყოფს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების შეუფერხებელ ფუნქციონირებას. სტატია ოთხი ნაწილისგან შედგება: ნაფიც მსაჯულთა რეფორმის პროცესის ისტორიის მიმოხილვა საქართველოში, კვლევის მიდგომისა და მეთოდოლოგიის მიმოხილვა, კვლევის ძირითადი მიგნებების ანალიზი და დასკვნები პოლიტიკის რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

2. ისტორიული კონტექსტი

უახლეს ისტორიაში, საქართველო იყო მესამე ქვეყანა ევროპის კონტინენტზე რუსეთის (1993 წ.)[10] და ესპანეთის (1995 წ.)[11] შემდეგ, რომელმაც ათწლეულების დიქტატურის შემდეგ ნაფიც მსაჯულთა სისტემა ხელახლა შემოიღო. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში მხოლოდ 2010[12] წლიდან მოქმედებს, თუმცა სისტემის შესაცვლელად მანამდე განხორციელდა რამდენიმე რეფორმა.[13] დრეისთვის ჩატარდა რამდნეიმე ათული პროცესი[14], რაც იძლევა შესაძლებლობას შევისწავლოთ დანერგვის ადრეული ეტაპები, გავაკეთოთ საწყისი დაკვირვებები და შევიმუშაოთ რეკომენდაციები მიმდინარე რეფორმებისთვის.

საქართველოში რიგით მოქალაქეთა სასამარტლო განხილვებში მონაწილეობის ტრადიცია საუკუნეებს ითვლის.[15] რუსეთის იმპერიამ 1801 წელს საქართველოს მონარქია გააუქმა და

9 ნიკოლოზ კოვალევი და გიორგი მელაძე, „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც კატალიზატორი დამოუკიდებელი სასამართლოების ევოლუციისათვის საქართველოში" (Trial by Jury as a Catalyst for Evolving Independent Courts in Georgia), Sanja Kutnjak Ivkovic, Shari Seidman Diamond, Valerie P. Hans, and Nancy S. Marder, (რედ.), Juries, Lay Judges, and Mixed Courts: A Global Perspective (Cambridge University Press, Cambridge, 2021), 261-282.

10 სტივენ ს. ტამანი, „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აღდგენა რუსეთში", 31(61) Stanford Journal of International Law (1995), 61-274; ნიკოლაი კოვალევი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმა რუსეთში, უკრაინასა და საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და შერეული სასამართლოები (Edwin Mellen Press, Lewiston, 2010).

11 სტივენ ს. ტამანი, „ესპანეთი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უბრუნდება", 21 Hastings International & Comparative Law Review (1998), 241-537.

12 კოვალევი და მელაძე, იხ. ზემოთ, შენიშვნა 9, 269-274.

13 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009), მიღებულია 2009 წლის 9 ოქტომბერს, № 1772. ყველა თარგმანი ქართულიდან ინგლისურ ენაზე შესრულებულია წინამდებარე სტატიის ავტორების მიერ, თუ სხვა რამ არ არის აღნიშნული.

14 ონაცემები მოპოვებულ იქნა უზენაესი სასამართლოდან 2019 წლის 29 აპრილს და შევსებულ იქნა სასამართლო მონიტორინგის შედეგებით. 2019 წლის დეკემბრის მონიტორინგის შედეგების მიხედვით: თბილისის სასამართლო – 26 პროცესი, ქუთაისის სასამართლო – 9, გორის სასამართლო – 6, ზუგდიდის სასამართლო – 1, ბათუმის სასამართლო – 1 პროცესი.

15 გიორგი დავითაშვილი, მტკიცებულებანი ქართულ ტრადიციულ სამართალში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ქართულ სასამართლოებში რუსული სისტემა დანერგა. მოგვიანებით, როდესაც რუსულ სასამართლოებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემოიღეს, საქართველო ამ რეფორმის მიღმა დარჩა.[16] მხოლოდ 1919 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეძლო საქართველომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აღდგენა. პირველი ნაფიცი მსაჯულები 1920 წლის დასაწყისში შეიკრიბნენ. პირველი რესპუბლიკა მალევე ჩაანაცვლა ბოლშევიკურმა რუსეთმა[17] და დამოუკიდებელი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხსოვნა სწრაფად წაიშალა პოლიტიკური ავტორიტარიზმისა და ისტორიული რეპრესიების მეშვეობით[18].

ვარდების რევოლუციის[19] შემდეგ, 2004 წელს[20] საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებამ აღადგინა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი, რაზეც სამოქალაქო საზოგადოება მანამდე დიდი ხნით ადრე მსჯელობდა. რეფორმის პოლიტიკური მხარდაჭერა კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო უწყებებისადმი საზოგადოების უნდობლობის აღმოსაფხვრელად. იმ ფონზე, როდესაც მმართველი ელიტა ფაქტობრივად უგულებელყოფდა რიგითი მოქალაქეების ხმას[21] რეფორმა იყო მცდელობა, რომ ხიდები აშენებულიყო ქართულ საზოგადოებასადასასამართლოხელისუფლებასშორის.[22] კონსტიტუციურიცვლილებისშემდეგ, 2009 წელს მიღებულმა საქართველოს სისხლის სამართლის ახალმა საპროცესო კოდექსმა (სსსკ) შემოიღო ამერიკული სტილის ნაფიც მსაჯულთა სისტემა, თუმცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემოიფარგლებოდა კოდექსით განსაზღვრული გარკვეული დანაშაულებით.[23] მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად პოლიტიკურ ჯგუფებს შორის იზრდება კონსენსუსი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ყველა დანაშაულზე გავრცელებასთან დაკავშირებით[24], ჯერ ნაადრევია ამ კუთხით მოსალოდნელი მოვლენების წინასწარმეტყველება.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოიცავდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დეტალურ რეგულირებას და მისი ძალაში შესვლის შემდეგ, 2010 წელს, მალევე, 2011 წელს პირველი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომა გაიმართა.[25] ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები ამჟამად შვიდ სასამართლოში ტარდება: თბილისში, ქუთაისში, თელავში, რუსთავში, გორში, ზუგდიდსა და ბათუმში. 2011 წლის ნოემბრიდან 2019 წლის აპრილის

თბილისი, 2003), 130-145.

16 მიხაილ ო. გრუზენბერგი, Sud prisiazhknykh v zakavkazie [ნავრცო მსაჯულთა სასამართლო ამიერკავკასიაში] (Tipografia Kantseliarii Osobogo Zakavkazskogo Komiteta, ტფილისი, 1917).

17 კოვალევი, op. cit., შენიშვნა 10, 118-121.

18 სტივენ ფ. ჯონსი, „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ამიერკავკასიაში: საქართველოს შემთხვევა 1921–1928 წწ.“ 11(4) Soviet Studies (1988), 616-639.

19 კოვალევი და მელაძე, op. cit., შენიშვნა 9, 265.

20 საქართველოს კონსტიტუცია (1995), მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს, 2018 წლის 23 მარტის ცვლილებებით, მუხ. 84.

21 კოვალევი და მელაძე, op. cit., შენიშვნა 9, 264-266.

22 იქვე, 265.

23 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, op. cit., შენიშვნა 12, მუხ. 226.

24 მემორანდუმი სასამართლო სისტემაში სამომავლო რეფორმების შესახებ ხელმოწერილი იყო ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტიის მიერ 13 მარტს. მემორანდუმის ქართული ტექსტი ხელმისაწვდომია: http://www.tabula.ge/ge/story/166646-opoziciuri-partiebi-sasamartlos-reformaze-shetanxmdnen.

25 მზია ლეკვეიშვილი, „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის საქმიანობა თბილისის საქალაქო სასამართლოში.“ კრებულში: ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში (იონივერი, თბილისი, 2013), 146–161; ინგლისური თარგმანი, 457–467.

ჩათვლით 59 ბრალდებულის წინააღმდეგ 46 სასამართლო პროცესი ჩატარდა, საიდანაც 18 გამართლდა და 41-ის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.[26]

კანონმდებლობის თანახმად, ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულება შეუძლია არანაკლებ 18 წლის საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ირიცხება ამომრჩეველთა საერთო სიაში.[27] გამონაკლისები ვრცელდება მოქმედ სამხედრო მოსამსახურეებზე, პროკურორებზე, მოსამართლეებზე ან ადვოკატებზე (დეტალები იხილეთ ქვემოთ). ნაფიც მსაჯულტა გადაწყვეტილებები მიიღება უმრავლესობის ვერდიქტით. ნაფიცი მსაჯულები ჯერ ცდილობენ მიაღწიონ სრულ თანხმობას, მაგრამ თუ ოთხი საათის განმავლობაში ვერ შეძლებენ, ატარებენ კენჭისყრას და გადაწყვეტილებას იღებენ კანონით დადგენილი უმრავლესობით.[28] საბოლოო ვერდიქტის გამოტანისას თუ ხმები გაიყოფა თანაბრად ან თუ მხოლოდ 7 მსაჯული მისცემს ხმას გამამტყუნებელ ან გამამართლებელ ვერდიქტს, მოსამართლე დაითხოვს ნაფიც მსაჯულებს და ნიშნავს ახალი ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის შერჩევის თარიღს. საქმე შეიძლება განხილული იყოს მხოლოდ ორჯერ და თუ მეორე ჯერზეც ვერ იქნა ვერდიქტი მიღებული, ნაფიც მსაჯულებს დაითხოვენ და ბრალდებულებს ათავისუფლებენ.[29]

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დანერგვა ჯერ კიდევ ძალიან ადრეულ ეტაპზეა, მაგრამ უკვე შეიძინა მომხრეები და მოწინააღმდეგეები. ის რჩება უთანხმოების საგნად ევროკავშირის სახელმწიფოების წარმომადგენელ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვისაც. ნაფიც მსაჯულტა სასამართლო თემაზე მწვავე საპარლამენტო დებატები მოეწყო 2014-2015 წლებში. მთავრობის ინიციატივით პარლამენტმა განიხილა კონკრეტული საკანონმდებლო ზომები, რომელთა მიზანიც იყო სისტემის შეცვლა, ნაფიც მსაჯულთა უფლებამოსილებების შეკვეცა და მისი უფრო სიმბოლურად ინსტიტუტად ქცევა. ეს ცვლილებები გააკრიტიკა სამოქალაქო საზოგადოებამ, თუმცა, კრიტიკის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები მიიღო. რომ არა პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ 2015 წელს გამოყენებული ვეტოს უფლება, სისტემა შეიცვლებოდა. თუმცა ვეტოს დამსახურებაა, რომ ცვლილებები ძალაში არ შევიდა და ეს კონკრეტული ვეტო რჩება ერთადერთ პრეცედენტად, როცა პარლამენტმა ის აღარ დაძლია.

ნაფიც მსაჯულთა რეფორმას საქართველოს დასავლელი პარტნიორები ყურადღებით აკვირდებოდნენ. მოსაზრებები და რეკომენდაციები არაერთგვაროვანი იყო: კრიტიკა კონტინენტური სამართლის ტრადიციის წარმომადგენელი ექსპერტებისგან მოდიოდა, ხოლო საერთო სამართლის ტრადიციის ექსპერტები მხარს უჭერდნენ ნაფიც მსაჯულთა რეფორმას.[30] შეიძლება ითქვას, რომ რეფორმის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა ორგანიზებულ შეტევასაც კი, რაც იდეოლოგიური სენტიმენტებით იყო გაღვივებული. კონკურენციას ღიად უჭერდნენ მხარს იურიდიული ექსპერტები გერმანიიდან, როგორც ეს კარგად არის აღწერილი როლფ კნიპერის ინტერვიუში: „რამდენიმე წლის განმავლობაში USAID ჯიუტად ცდილობდა ნაფიც მსაჯულთა

26 ოფიციალური სტატისტიკა, მიღებული უზენაესი სასამართლოდან 2019 წლის 16 აპრილს. ინახება ავტორებთან.

27 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, op. cit., შენიშვნა 12, მუხ. 221.

28 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, op. cit., შენიშვნა 12, მუხ. 261.4.

29 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, op. cit., შენიშვნა 12, მუხ. 261.6

30 რიჩარდ ვოგლერი, ანგარიში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2009 წლის პროექტის შესახებ, მომზადებული ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და სამართლებრივი საკითხების გენერალური დირექტორატის დავალებით (2009).

სისტემის პოპულარიზაციას [პოსტსაბჭოთა ქვეყნებში...] მრავალი წლის განმავლობაში, პუბლიკაციებში, სემინარებზე, საერთაშორისო კონფერენციებზე და USAID-თან უშუალო კომუნიკაციისას, GTZ-ს [გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია] აქტიურად ეკავა განსხვავებული პოზიცია. [...] მაგალითად, საქართველოში შესაძლებელი გახდა ამ სამართლებრივი პოლიტიკის დებატების რაციონალურ კალაპოტში შენარჩუნება.[31]"

რეფორმამ გამოიწვია დებატები ქართულ საზოგადოებაშიც, მაგრამ ის შემოიფარგლებოდა პრესკონფერენციებითა და იდეოლოგიური პოზიციების გამოხატვით, თემის ღრმა კვლევის გარეშე.[32] რეფორმის სკეპტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ მაღალი ხარჯები, ლოგისტიკური სირთულეები და სოციალური ქსელები თითქმის შეუძლებელს ხდიდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარებას. რეფორმის მომხრეები კი ამბობდნენ, რომ ეს დაბრკოლებები არ აჭარბებდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობის გაზრდის ღირებულებას.[33] როგორც ერთ-ერთმა რაიონული სასამართლოს მოსამართლემ აღნიშნა კვლევით ჯგუფთან ინტერვიუში: „ნაფიც მსაჯულად ყოფნის გამოცდილება უკიდურესად მნიშვნელოვანია. თუ გვინდა, რომ გვყავდეს მოქალაქეები და არა უბრალოდ მაცხოვრებლები. მთელი საზოგადოება უნდა გავატაროთ ამ გამოცდილებაში, მივცეთ მათ საშუალება, იყვნენ ნაფიცი მსაჯულები და ჩვენ მივიღებთ სხვა, უკეთეს საზოგადოებას. თქვენ არ შეგიძლიათ აიძულოთ ყოფილი ნაფიცი მსაჯული, დაემორჩილოს ვინმეს ნებას... ის სრულიად იცვლება მას შემდეგ, რაც ნაფიცი მსაჯულობის გამოცდილებას იღებს; ის ხდება დამოუკიდებელი.[34]" მსგავსი მოსაზრებები და დასკვნები გაიზიარა კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმრავლესობამ. კვლევის მომენტისთვის, სისხლის სამართლის კოდექსით თითქმის ოცი დანაშაულია გათვალისწინებული[35] რომელიც ნაფიც მსაჯულთა იურისდიქციას მიეკუთვნება და პარლამენტი პერიოდულად ზრდის ამ სიას. აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი ოპოზიციური პარტიების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება ითვალისწინებდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების გავრცელებას ყველა იმ დანაშაულზე, რომელიც თავისუფლების აღკვეთით ისჯება. ეს ვალდებულება აიღეს მომდევნო ოთხი წლისთვის, თუ რომელიმე ეს პარტია მოვიდოდა ხელისუფლებაში 2020 წლის არჩევნების შემდეგ.[36]

31 კოვალევი, აღნიშნ. ნაშრომი (op. cit.), შენიშვნა 10, 258.

32 კოვალევი, მელაძე და ჟვანია, აღნიშნ. ნაშრომი (op. cit.), შენიშვნა 6.

33 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს სასამართლოების განახლება. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო: მეტი დემოკრატია თუ სასამართლო სისტემის "კოსმეტიკური რემონტი"? (2010), ხელმისაწვდომია: https://www.transparency.ge/sites/default/files/Trial by Jury.pdf.

34 ანონიმური ინტერვიუ მოსამართლესთან, ქუთაისი, 2018 წლის 29-30 მაისი (ტრანსკრიპტი ავტორებთან ინახება). აღსანიშნავია, რომ მოსამართლე მკვეთრად ანტაგონისტურად იყო განწყობილი საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების მიმართ და აქტიურად ებრძოდა ამ რეფორმას. როგორც მან ინტერვიუს დროს აღნიშნა, ნაფიცი მსაჯულის როლში ყოფნის პირადმა გამოცდილებამ და ტრანსფორმაციული როლის დანახვამ აზრი სრულიად შეაცვლევინა, როგორც მან მკვლევარს ინტერვიუსას უთხრა.

35 განზრახ მკვლელობა (მათ შორის დამამძიმებელ გარემოებებში); განზრახ მძიმე ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა; ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა; თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება, დაკავება ან დაპატიმრება; მძევლად აყვანა; წამება ან წამების მუქარა; ღირსების შემლახველი და არაადამიანური მოპყრობა; უდანაშაულო პირის განზრახ სისხლის სამართლებრივი დევნა; ფალსიფიკაცია; აფეთქება; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, აღნიშნ. ნაშრომი (op. cit.), შენიშვნა 12, მუხ. 226(1).

36 შეთანხმების ტექსტი ქართულ ენაზე, ხელმისაწვდომია: https://www.tabula.ge/ge/story/166646-opoziciuri-partiebi-sasamartlos-reformaze-shetanxmdnen.

სტატია ასახავს ავტორების მიერ ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგებს. კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმრავლესობამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დემოკრატიულ ინსტიტუტად მიიჩნია და მისი შემოღება შეფასდა, როგორც ლოგიკური და პოზიტიური ნაბიჯი დემოკრატიზაციის პროცესში .[37]

3. კვლევის მეთოდოლოგია

წარმოდგენილი სტატიის ძირითადი მიზანია საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის – ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესის აღწერა და ანალიზი. ეს სტატია წარმოადგენს სასამართლო პროცესის დინამიკის გაანალიზების პირველ მცდელობას და ეყრდნობა ავტორების მიერ ჩატარებულ ვრცელ კვლევას. კვლევა ეფუძნებოდა შერეულ მიდგომას, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, და ფოკუსირებული იყო შემდეგ საკითხებზე: რეფორმის მიმდინარე ეტაპის აღწერა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პრაქტიკის საერთო სურათის დადგენა, საზოგადოებრივი დამოკიდებულებების შესწავლა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამოცდილება, პროფესიონალებსა და ზოგად მოსახლეობაში არსებული ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება. კვლევის განმავლობაში თვითონ კვლევის მეთოდოლოგია რეგულარულად ანალიზდებოდა, რათა გამოვლენილიყო ნებისმიერი ხარვეზი და შეტანილიყო კორექტირებები.

ერთ-ერთი კითხვაა, რომელსაც სკეპტიკოსები ხშირად სვამენ თუ რამდენად არის „მზად“ ქართული საზოგადოება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის. საქართველოში აქამდე არ ჩატარებულა საფუძვლიანი კვლევა, რომელიც გაანალიზებდა „მზაობის“ ცნების უკან არსებული სხვადასხვა ფაქტორს, ასევე, არ მომხდარა პროცესის სიღმისეული და სისტემური ანალიზი კომპლექსური კვლევითი ჩარჩოს გამოყენებით. სტატიში „მზაობა” გააზრებულია როგორც სასამართლოების მზაობა (ფინანსები, ინფრასტრუქტურა, ლოჯისტიკა და მოსამართლეები), საზოგადოების მზაობა (ადამიანები აქტიურად მონაწილეობენ, იზრდება მოთხოვნა, მოქალაქეები კარგად არიან ინფორმირებულნი), და პროფესიონალთა მზაობა (პროფესიული შესაძლებლობები, მომზადებული პერსონალი და მობილიზებული რესურსები); მოცემული კვლევა აღწერს თითოეულ ფაქტორს ვერიფიცირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

კვლევითმა ჯგუფმა განიხილა სხვა ქვეყნებში გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომები – მსაჯულთა გამოკითხვები წინასწარ შედგენილი კიტხვარებით და სიღრმისეული ინტერვიუები მხარეებთან, პროფესიონალ მოსამართლეებთან და ნაფიც მსაჯულებთან; სასამართლო დარბაზისა და სათათბირო ოთახის დაკვირვება; სასამართლო სხდომის ჩანაწერების, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტების, შესწავლის გამოცდილება;

37 ანონიმური ინტერვიუები იურისტებთან/ადვოკატებთან. თბილისი, 29 აპრილი 2018 (ჩანაწერი ინახება ავტორებთან).

ექსპერიმენტული სიმულაციები და სხვა საველე კვლევები. საერთო ჯამში, ნებისმიერი ამ მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა დამოკიდებულია ქვეყნის სამართლებრივ და ეთიკურ წესებზე, ქვეყნის პოლიტიკური რეჟიმსა და კვლევისთვის ხელმისაწვდომი რესურსებისა და დაფინანსების არსებობაზე.

წინამდებარე კვლევისთვის შემუშავებული მეთოდოლოგია მოიცავდა სამაგიდო კვლევას, ექსპერტულ ინტერვიუებს, მრგვალ მაგიდს, სიღრმისეულ ნახევრად-სტრუქტურირებულ ინტერვიუებს, ფოკუს ჯგუფებს და სასამართლო სხდომაზე დაკვირვებებს. კვლევითმა ჯგუფმა შვიდ ქალაქში ჩაატარა 65 სიღრმისეული, ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ დახურული კითხვების ბლოკებით ინფორმირებულ რესპონდენტებთან (იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები, სახალხო დამცველის / ომბუდსმენის აპარატის, მედიის, ადამიანის უფლებათა არასამთავრობო ორგანიზაციების / სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები).[38] ფოკუს ჯგუფების ორი რაუნდი ჩატარდა 2018 და 2019 წლებში (სულ 14 ფოკუს ჯგუფი) შვიდ რეგიონში ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებთან. კვლევა ასევე მოიცავდა სასამართლოებში ნაფიც მსაჯულთა შერჩევის 35 სხდომაზე დაკვირვებას.

პრაქტიკოსი იურისტების გამოცდილების შესასწავლად მკვლევრები იყენებენ ორი განსხვავებული ტიპის გამოკითხვას – სპეციფიკური საქმისადმი მიძღვნილი და ზოგადი გამოცდილების გამოკითხვები.[39] ზოგადი გამოცდილების ტიპის გამოკითხვა აზოგადებს რესპონდენტების პრაქტიკას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებში. მაშინ, როდესაც საქმისადმი სპეციფიკურ გამოკითხვაში რესპონდენტებს ეკითხებიან, მოხდა თუ არა კონკრეტული ფაქტი სასამართლო პროცესის განმავლობაში, მაგალითად, დაარღვია თუ არა თავმჯდომარე მოსამართლემ მიუკერძოებლობის პრინციპი ნაფიცი მსაჯულებისთვის მიცემულ მითითებებში. ზოგადი გამოცდილების ტიპის გამოკითხვაში რესპონდენტებს ეკითხებიან მხოლოდ იმის თაობაზე, თუ რამდენად ხშირად დააკვირდნენ ასეთ ფაქტებს. აქედან გამომდინარე, ზოგადი გამოცდილების ტიპის გამოკითხვამ, შესაძლოა, ნაკლებად ზუსტი მონაცემები მოგვცეს, ვიდრე საქმისადმი სპეციფიკურმა მიდგომამ. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ საქმისადმი სპეციფიკური მიდგომა უფრო დროში გახანგრძლივებული და ძვირადღირებული ვარიანტია, ვიდრე ზოგადი გამოცდილების გამოკითხვა. ამ კონკრეტული კვლევისთვის, ზოგადი გამოცდილების ტიპის გამოკითხვა უფრო შესაბამისი და ეფექტური

38 კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა სიღრმისეული ექსპერტული ინტერვიუები 13 მოსამართლესთან, 14 პროკურორთან, 18 დაცვის ადვოკატთან (იურისტთან), სახალხო დამცველის/ომბუდსმენის ხუთ წარმომადგენელთან; 13 მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან და ორ ნაფიც მსაჯულთან.

39 კონკრეტულ საქმეზე ორიენტირებული კვლევა გამოყენებულ იქნა ჰარი კალვენისა და ჰანს ზაიზელის ნაშრომში, The American Jury (Little, Brown, Boston, 1966); ჯონ ბოლდუინისა და მაიკლ მაკკონვილის ნაშრომში, Jury Trials (Oxford University Press, Oxford, 1979). ამ ტიპის კვლევის მიზანია შეაგროვოს იურიდიული პროფესიონალების მოსაზრებები კონკრეტულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით. ეს მკვლევრებს საშუალებას აძლევს შეაგროვონ უფრო ფაქტობრივი მონაცემები და შეადარონ სხვადასხვა მონაწილის შეხედულებები თითოეულ სასამართლო პროცესზე: ადვოკატის, ბრალდებულების, პოლიციელებისა და თავმჯდომარე მოსამართლის. ზოგადი გამოცდილების კვლევა გამოყენებულ იქნა პიტერ დაფის, მარკ ფინდლეის, კარლა თ. ჰოვარტისა და ჩან ცანგ-ფაის კვლევაში არაპროფესიონალი მსაჯულების შესახებ, Juries: The Hong Kong Perspective (Hong Kong University Press, Hong Kong, 1992) და კოვალევის, იხ. სქოლიო 10, ნაშრომში. ამ ტიპის კვლევაში კითხვები ფოკუსირებულია არა კონკრეტულ სასამართლო პროცესებზე, რომელშიც რესპონდენტები მონაწილეობდნენ როგორც ადვოკატები ან თავმჯდომარე მოსამართლეები, არამედ მათ ზოგად გამოცდილებაზე მსგავს სასამართლო პროცესებში.

აღმოჩნდა, კვლევისთვის არსებული რესურსებისა და ქვემოთ აღწერილი საკანონმდებლო შეზღუდვების გათვალისწინებით.

რესპონდენტებისა და ფოკუს ჯგუფების მონაწილეების შერჩევა განხორციელდა რამდენიმე მეთოდის გამოყენებით – თავდაპირველი სტრატიფიკაცია და კვოტირება (კვალიფიცირებული პირთა კლასტერების იდენტიფიკაციისთვის[40]) და შემდგომ თოვლის გუნდას მეთოდი – კონკრეტული რესპონდენტების შერჩევისთვის იდენტიფიცირებული კლასტერებიდან), მნიშვნელოვანი იყო მოსამართლეთა, პროკურატურის და დაცვის მხარის ადვოკატების შეძლებისდაგვარად თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლობა, რათა მიგვეღო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესების მონაწილეების შესაძლო დამოკიდებულებების დაბალანსებული ხედვები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო იურიდიული პროფესიის ორი ჯგუფის ხელმისაწვდომობა: ის პირები, რომლებიც ჩართული იყვნენ რეფორმის საწყის ეტაპებზე და ის პირები, რომლებიც ამჟამად იყვნენ პროცესის ნაწილი. ცალკე შერჩევა განხორციელდა იმ პირებს შორის, რომლებიც აკვირდებიან ან ზედამხედველობენ სასამართლო პროცესებს – საქართველოს სახალხო დამცველის/ომბუდსმენის წარმომადგენლები, სამოქალაქო აქტივისტები და ჟურნალისტები. კიდევ ერთი პრინციპი იყო გეოგრაფიული განაწილება, რათა კვლევაში ჩართული ყოფილიყვნენ რესპონდენტები როგორც რეგიონებიდან, ასევე დედაქალაქ თბილისიდან. საველე სამუშაოები ჩატარდა ორ ეტაპად: 2018 წლის თებერვლიდან ივნისამდე და 2019 წლის მარტიდან მაისამდე – და მოიცვა საქართველოს ყველა ის შვიდი ქალაქი, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესები დაინერგა – თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი, თელავი, გორი და რუსთავი. სასამართლო პროცესების მონიტორინგის/დაკვირვების ინსტრუმენტი შემუშავდა ეუთო-ს (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) მონიტორინგის მეთოდოლოგიის საფუძველზე და ადაპტირებული იყო საქართველოს კანონმდებლობასთან.[41] მონიტორებმა/დამკვირვებლებმა გაიარეს ტრენინგი პროცესისა და მონიტორინგის ანგარიშის მომზადების თაობაზე.

აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს კვლევის შეზღუდვებზე. ნაფიც მსაჯულთა კვლევა ნებისმიერ იურისდიქციაში, სამართლებრივი შეზღუდვებისა და რეგულაციების გამო, არაერთ გამოწვევას ქმნის. საქართველოში არსებობს საკანონმდებლო შეზღუდვები ნაფიც მსაჯულთა თათბირის დაკვირვებაზე, თუნდაც კვლევის მიზნებისთვის. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა, ისევე როგორც სამართლებრივი რეგულაციები ბევრ სხვა იურისდიქციაში, მაგალითად კანადაში, ინგლისსა და ჰონგ-კონგში, მკვლევარებს უკრძალავს არა მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა თათბირის დაკვირვებას, არამედ მსაჯულებთან გასაუბრებას სათათბირო პროცესის შესახებ. ამიტომ, კვლევა არ მოიცავს მსაჯულთა შეფასებებს და მოსაზრებებს

40 ეს არის მეთოდი, რომელიც გამოიყენება სოციალურ მეცნიერებებში არაალბათობრივი (სამიზნე) რესპონდენტებთან წვდომისათვის, რათა შეიქმნას გარკვეული თვისებების მქონე ადამიანების შერჩევითი ერთობლიობა. მაგალითად, მოიპოვონ გარკვეულ სფეროებში აღიარებული ექსპერტების სია. გარკვეული ვარიაციებით, მეთოდი მიჰყვება შაბლონს, სადაც თავდაპირველად იდენტიფიცირებული რესპონდენტი ასახელებს სხვებს და ნიმუში თოვლის გუნდასავით იზრდება.

41 ეუთო-ს (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) დოკუმენტი *Trial Monitoring: A Reference Manual for Practitioners* (OSCE/ODIHR, Warsaw, 2012), ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/94216. კვლევამ ასევე გაითვალისწინა მონიტორინგის მეთოდოლოგია სასამართლო მონიტორინგის სხვა ჯგუფებთან ერთად – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია/USAID, *სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი. ანგარიში № 13* (GYLA, Tbilisi, 2019), ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/files/news/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98/angarishi%20eng.pdf.

პროცესის შესახებ.[42] ეს გამოწვევა შეიძლება დაძლეულ იქნას მომავალში, თუკი აღიარებული იქნება ასეთი მონაცემების საჭიროება და შევა შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში, რაც ხელს შეუწყობს კვლევას.

ნაფიცი მსაჯულების შესახებ ნებისმიერ ინფორმაციაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და სასამართლო სტატისტიკის არარსებობა სასამართლოს მონიტორინგსა და დაკვირვებას აქცევს შერჩევის პროცესის შესახებ ინფორმაციის მთავარ წყაროდ. თუმცა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვების შეზღუდული რაოდენობის გამო, რესპონდენტთა უმეტესობა იყო ძალიან კრიტიკულად განწყობილი და ნაკლებად ეყრდნობოდა კონკრეტულ ფაქტებსა თუ მონაცემებს. ამიტომ, კვლევის ერთადერთი ნაწილი, რომელიც რაოდენობრივ ანალიზს იყენებს, სასამართლო მონიტორინგის ანგარიშების კვლევაა. მკვლევარები იმყოფებოდნენ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის 35 სხდომაზე ხუთ ქალაქში, ხუთი სასამართლო პროცესის დროს, თუმცა მათ არ შეეძლოთ კვლევის დაწყებამდე ჩატარებულ ნაფიც მსაჯულთა შერჩევებზე დაკვირვება და ვერც ყველა სხვა შერჩევის პროცესს დაესწრნენ შეზღუდული ფინანსებისა და რესურსების გამო.

გამოყენებული კვლევის ინსტრუმენტების სიახლე და უნიკალურობა თავისთავად წარმოადგენდა ცალკე გამოწვევას — ისინი უნდა ყოფილიყო გაანალიზებული და ვერიფიცირებული საველე სამუშაოებამდე, კვლევის ჩატარების პროცესსში და შედეგების ანალიზის დროს. ასევე, საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის შესახებ საბაზისო მონაცემებისა და კვლევების კრიტიკული ნაკლებობა (ღირებულებითი სტრუქტურები და აღქმები, გამოცდილება და პრაქტიკა, სოციალური ქცევა და ფაქტორები და ა.შ.) ზღუდავს წინამდებარე კვლევის დასკვნების უფრო ფართო კონტექსტში გააზრების შესაძლებლობას.

4. სასამართლოები, ადვოკატები და ნაფიც მსაჯულთა შერჩევა ა-დან ჰ-მდე

კვლევამ მოგვცა შესაძლებლობა, მიგვეღო პირველადი ინფორმაცია პრაქტიკოსი ადვოკატებისგან, მოსამართლეებისა და სხვა პროფესიონალებისგან. ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ეფუძნება ინტერვიუების დროს ჩაწერილ ზეპირ ისტორიებს, აგრეთვე სამაგიდო კვლევისას მოპოვებულ სამართლებრივ რეგულაციებსა და სხვა მასალას. ავტორები ცდილობენ, ერთმანეთთან დააკავშირონ ინფორმაციის ეს რთული მოზაიკა და მოახდინონ მისი სტრუქტურირება მეტი სიცხადისთვის, ასევე, შემდგომი გააზრებისა და ანალიზისთვის.

42 „ნაფიც მსაჯულებს და სათადარიგო მსაჯულებს ეკრძალებათ: ა) საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება ვერდიქტის გამოტანამდე ან განსახილველი საქმის თაობაზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმა; ბ) სათათბიროსა და ნაფიცი მსაჯულების ხმის მიცემის საიდუმლოების დარღვევა.“ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, op. cit., შენიშვნა 12, მუხ.236.1.

4.2. სასამართლო დარბაზები და სასამართლო პროცესზე დასწრება

სასამართლო დარბაზების კონფიგურაციისა და რეკონსტრუქციის საჭიროება სასამართლო რეფორმის დღის წესრიგში ერთ-ერთი მთავარი საკითხია. სასამართლო ხელისუფლება, რომელსაც ე.წ. საერთო სასამართლოები წარმოადგენს, რეორგანიზებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარების მიზნით.[43] ამჟამად, 26 პირველი ინსტანციის სასამართლოდან შვიდი სასამართლო და შვიდი სასამართლო დარბაზი (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, გორი, ზუგდიდი, თელავი) ითვალისწინებს სხვა სასამართლო იურისდიქციებიდან შემოსულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოთხოვნებსაც:

- თბილისის საქალაქო სასამართლო (აღმოსავლეთი) მოიცავს თბილისის და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის სასამართლოების იურისდიქციის ქვეშ არსებულ საქმეებს;
- ქუთაისის სასამართლო (დასავლეთი) მოიცავს – ქუთაისის, ამბროლაურის, ზესტაფონის, სამტრედიის, საჩხერის და ცაგერის სასამართლო იურისდიქციებს;
- ბათუმის სასამართლო (დასავლეთი) მოიცავს ბათუმის, ოზურგეთისა და ხელვაჩაურის სასამართლოებს;
- რუსთავის სასამართლო (აღმოსავლეთი) მოიცავს რუსთავის, ბოლნისისა და თეთრიწყაროს სასამართლოებს;
- ზუგდიდის სასამართლო (დასავლეთი) მოიცავს ზუგდიდის, სენაკის, ფოთის, ოჩამჩირე-ტყვარჩელისა და გალის-გულრიფშის სასამართლო იურისდიქციებს;
- თელავის სასამართლო (აღმოსავლეთი) მოიცავს თელავის, გურჯაანისა და სიღნაღის სასამართლო იურისდიქციებს;
- გორის სასამართლო (აღმოსავლეთი) მოიცავს გორის, ახალქალაქის, ახალციხის, მცხეთისა და ხაშურის სასამართლო იურისდიქციებს (იუსტიციის უმაღლესი საბჭო, გადაწყვეტილება #1/9, 2013 წლის 1 თებერვალი).

სასამართლო დარბაზების გადახალისებაში პირველი მნიშვნელოვანი ინვესტიციები 2006 წელს დაიწყო. გაუმჯობესებისთვის ხუთი მილიონი ლარი (GEL)[44] გამოიყო. მას შემდეგ ყოველწლიურად ხორციელდებოდა შემდგომი ნაბიჯები ახალი შენობების ადაპტირებისთვის ან ასაშენებლად[45]. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებისთვის ადაპტირებულ სასამართლო დარბაზებს სტანდარტული მოწყობა აქვთ მცირე ვარიაციებით. მოსამართლე ზის ცენტრში, სასამართლოს მდივანი ზის მოსამართლის წინ ან მის გვერდით. ბრალდებული განთავსებულია

43 საერთო სასამართლოები მოიცავს: 26 პირველი ინსტანციის სასამართლოს, ორ სააპელაციო სასამართლოსა და უზენაეს სასამართლოს, სადაც დასაქმებულია თითქმის 300 მოსამართლე ყველა ინსტანციაში. – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, იხილეთ მონაცემები: http://hcoj.gov.ge/en/home.

44 ქართული ლარი (GEL), 2006 წლის კურსით 1 GEL = 0.39 ევრო, ან დაახლოებით 1,950,000 ევრო.

45 უზენაესი სასამართლო, სასამართლო რეფორმის ძირითადი მიმართულებები, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ 2006, #1 გამოცემა, გამოცემული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. ერთ-ერთი ბოლო სიახლე იყო ახალი შენობა, რომელიც აშენდა თელავში 2018 წელს.

მოსამართლის მარცხნივ, დაცვის ადვოკატი, პროკურორი და ნაფიც მსაჯულთა კანდიდატები კი მოსამართლის მარჯვენა მხარეს არიან[46].

ზოგიერთ სასამართლოში ბრალდებულის ადგილი გამოყოფილია შუშის პანელით, ზოგან კი ღიაა.[47] იმ სასამართლოებს, რომლებსაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებისთვის გამოყოფილი აქვთ ოთახები, ბრალდებულებისთვის აქვთ "ღია სკამები" ("open benches"). სასამართლოები, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებისთვის ჩვეულებრივ დარბაზებს იყენებენ, როგორც წესი, იყენებენ შუშის პანელს ბრალდებულის ადგილის გამოსაყოფად. ბრალდებულს, ჩვეულებრივ, პოლიცია იცავს. მოსამართლეებს აცვიათ მანტია, ხოლო ადვოკატები, როგორც წესი, ფორმალური სამოსით არიან.

ყველა პროცესი იწერება, თუმცა აუდიოჩანაწერები და ოქმები მხოლოდ მხარეებს ეძლევათ. კვლევითი მიზნებისთვის აუდიო ფაილებზე და პროცესის ოქმებზე წვდომა პრობლემურია.[48] ინფორმაცია სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ ხელმისაწვდომია, მაგრამ, როგორც წესი, არ არის მითითებული პროცესის დეტალები, რაც ასეთ ინფორმაციას გამოუსადეგარს ხდის საქმის უფრო სიღრმისეული გაგებისა და შესწავლისთვის. ეს შეზღუდვა კიდევ უფრო გამოხატულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებში, სადაც სასამართლო ჩანაწერები მხოლოდ ფაქტების მოკლე განცხადებებს, განაჩენსა და სასჯელის დადგენას მოიცავს.

4.3. იურისტთა ტრენინგი

მოსამართლეთა და მხარეთა შესაძლებლობა ეფექტურად გამოიყენონ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მართლმსაჯულების სამართლიანობის გაუმჯობესების მიზნით, პირდაპირ კავშირშია მათ მიერ მიღებულ ფორმალურ განათლებასა და შემდგომ ტრენინგებთან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული უნივერსიტეტების სამართლის ფაკულტეტების უმრავლესობის ამჟამინდელი სასწავლო გეგმა ცუდად ასახავს იმ უნარებსა და ცოდნას, რომელიც აუცილებელია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესების ჩასატარებლად.[49] განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განახლებული სტანდარტების განმსაზღვრელი დოკუმენტი კვლავ არ მოიცავს მკაფიო სტანდარტებს სასამართლო ადვოკატირების უნარების განვითარებაზე, რაც ასეთი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა

46 სასამართლოზე დაკვირვების ჩანაწერები 2019, კვლევითი პროექტი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმა საქართველოში: პირველი ნაბიჯები და პირველი გამოწვევები" (ინახება ავტორებთან).

47 თბილისის, ქუთაისისა და თელავის სასამართლო დარბაზებში არ არის შუშის ბარიერები, განსხვავებით სხვა სასამართლოებისგან.

48 1999 წლის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი არეგულირებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც საჯარო დაწესებულების მიერ არის შექმნილი, საჯარო ინფორმაციაა და აკმაყოფილებს ზოგად მოთხოვნებს, რომლებიც ზღუდავს მესამე პირის წვდომას პირად ინფორმაციაზე. 2019 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების „მედიის განვითარების ფონდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" საფუძველზე, გადაწყვეტილების სრულ ვერსიაზე ხელმისაწვდომობა კანონით იქნა მინიჭებული „საჯარო აუცილებლობის" მოტივით, მაგრამ გაურკვეველი რჩება, ხელმისაწვდომია თუ არა სასამართლო სხდომის ოქმები ფართო საზოგადოებისთვის.

49 სიღრმისეული ინტერვიუების ანგარიშები, კვლევითი პროექტი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმა საქართველოში: პირველი ნაბიჯები და პირველი გამოწვევები".

ნაფიც მსაჯულთა რეფორმის ეფექტური განხორციელებისთვის.[50] ეს მომავალ იურიდიულ პრაქტიკოსებს სასამართლო პრაქტიკისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავებისა და ადეკვატური ცოდნის მიღების მცირე შესაძლებლობებს უტოვებს.

მოსამართლეთა და პროკურორთა სამუშაო ადგილზე შესაძლებლობების განვითარება განხორციელდა ყველა შვიდ რეგიონში პირველ სასამართლო პროცესებამდე.[51] ზოგიერთი ტრენინგი, ასევე, მოიცავდა დაცვის ადვოკატებს (ბრალდების დამცველებს) და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს – მაგალითად, ზუგდიდში, ქუთაისსა და ბათუმში. თუმცა, დაცვის ადვოკატებს შორის სათანადო ტრენინგის ნაკლებობა საყოველთაოდ აღიარებული პრობლემაა და ცოდნის უფრო ეფექტურად მიწოდების სხვადასხვა გზა განიხილება.[52]

რესპონდენტების თქმით, იმიტირებული სასამართლო პროცესები (moot courts) აღმოჩნდა ყველაზე ეფექტური სასწავლო ინსტრუმენტი, რომელმაც უზრუნველყო ყველაზე მეტი ცოდნის გადაცემა, გრძელვადიანი ეფექტი. რამდენიმე იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა ბათუმში, გორსა და თელავში. DOJ/ROL პროექტი ამჟამად ატარებდა ტრენინგებს მოქმედი იურისტებისთვის და თითქმის 200 დაცვის ადვოკატი დაესწრო საბაზისო ტრენინგებს ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, მაგრამ განათლების ადრეული ეტაპებიდან უნარების განვითარების სისტემური მიდგომის გარეშე, ძნელი იქნება ხანგრძლივი შედეგის დანახვა.

სასამართლოებს, ასევე, არ აქვთ ადგილობრივ თემებთან ეფექტური კომუნიკაციის რესურსი და გამოცდილება. შესაბამისად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების შესახებ მათ ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ. სანდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საზოგადოებისა და სასამართლო პროცესის მხარეთა შესაძლებლობების გაძლიერება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში წარმატებული მონაწილეობის ხილვადობა გაუმჯობესების აშკარა ფაქტორებია.

4.4. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა კვალიფიკაცია

საქართველოს თანამედროვე კანონმდებლებმა შეარჩიეს მოდელი, რასაც ვიდმარი ნაფიც მსაჯულთა საყოველთაო უფლებამოსილებას უწოდებს.[53] ეს კონცეფცია განვითარდა მე-20 საუკუნეში, როგორც რეაგირება გენდერულ, ქონებრივ და რასობრივ უთანასწორობაზე და რამდენიმე ნიშნით არჩევს მსაჯულს.

პირველი ნიშანია პირის რეგისტრაცია საქართველოს სამოქალაქო რეესტრის ამომრჩეველთა მონაცემთა ბაზაში. ნაფიც მსაჯულები შეიძლება გახდნენ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები.

50 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 2 აპრილის დირექტივა.

51 ანონიმური ინტერვიუ ექსპერტთან, თბილისი, 2018 წლის 15 აპრილი (ტრანსკრიპტი ინახება ავტორებთან).

52 იქვე.

53 ნეილ ვიდმარი, „ისტორიული და შედარებითი პერსპექტივა საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულებზე“ (Neil Vidmar, ”A Historical and Comparative Perspective on the Common Law Jury”), წიგნში: ნეილ ვიდმარი (რედ.), მსოფლიოს ნაფიც მსაჯულთა სისტემები (In Neil Vidmar (ed.), World Jury Systems) (Oxford University Press, Oxford, 2000), 28.

მოქალაქეობა სტანდარტული მოთხოვნაა მსოფლიოს იურისდიქციების უმეტესობისთვის. თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც, მაგალითად, ინგლისი.

მეორე, ნიშანია ნაფიცი მსაჯულებისთვის იგივე მინიმალური ასაკის, თვრამეტი წელი, დაწესება, რაც ამომრჩევლისთვის. ეს განსხვავდება ყაზახეთისა[54] და რუსეთისგან[55], სადაც ნაფიცი მსაჯულები შეირჩევიან ოცდახუთ წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეებისგან. საქართველომ აირჩია თანამედროვე ინგლისის[56], კანადის[57] და ამერიკის იურისდიქციების გამოცდილება.[58]

მესამე ნიშანია სისხლის სამართლის საპროცესო ენაზე საუბრის უნარი.[59] საქართველოს კონსტიტუციის (მუხლი 2(3)) თანახმად, ქართული ენა არის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე[60] ერთადერთი სახელმწიფო ენა. კანონი ასევე ცნობს აფხაზურ ენას მეორე სახელმწიფო ენად აფხაზეთის ტერიტორიაზე.[61] მართალია, საბჭოთა პერიოდში ქართული იყო ოფიციალური ენა საქართველოში, სასამართლოებსა და სხვა სამთავრობო ორგანოებსა და დაწესებულებებში შესაძლოა რუსულიც გამოეყენებინათ.[62]

საქართველოს ყველა მოქალაქე არ ფლობს ქართულ ენას სრულყოფილად. მოსახლეობის დაახლოებით 14% სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელთა მშობლიური ენა ქართული არ არის, შესაბამისად, ბევრი მათგანი არ საუბრობს ქართულად ან საუბრობს ძალიან ცუდად.[63] საინტერესოა, რომ კანონი არ მოითხოვს სასამართლო პროცესის ენის ცოდნის დადასტურებულ კვალიფიკაციას. კანონი მხოლოდ იმას ითხოვს, რომ პირს შეეძლოს ქართულად საუბარი, და არა კითხვა ან წერა.

ნაფიცი მსაჯულულობის კანდიდატის მიმართ მეოთხე ზოგადი მოთხოვნა არის საცხოვრებელი ადგილის ქონა საქართველოში.[64] კანონი აცხადებს, რომ ნაფიცი მსაჯული

54 ყაზახეთის რესპუბლიკის კანონი „ნაფიცი მსაჯულების შესახებ", მუხ. 10(1), ხელმისაწვდომია: http://sud.gov.kz/rus/content/zakon-respubliki-kazahstan-o-prisyazhnyh-zasedatelyah-0.

55 რუსეთის ფედერაციის კანონი „ნაფიცი მსაჯულების შესახებ", მუხ. 3(2), ხელმისაწვდომია: http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_48943/b627da5751a2e8345d191ec951cada837c16ccb5.

56 ნაფიც მსაჯულთა აქტი 1974, 23, ხელმისაწვდომია: https://www.legislation.gov.uk/ukpa/1974/23/contents.

57 კრისტოფერ გრენჯერი, სისხლის სამართლის საქმის განხილვა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით კანადაში (Christopher Granger, The Criminal Jury Trial in Canada) (Carswell, Toronto, 1996, მე-2 გამოცემა).

58 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იხ. ზემოთ, შენიშვნა 12, მუხ. 29(a).

59 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იქვე, შენიშვნა 12, მუხლი 29(ბ).

60 საქართველოს კონსტიტუცია, იქვე, შენიშვნა 20, 2(3).

61 უნდა აღინიშნოს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო აფხაზეთში არ დანერგილა, რადგან იგი დე ფაქტო დამოუკიდებელია საქართველოსგან 1990-იანი წლებიდან.

62 Ugolovno-Protsessual'nyi kodeks SSR (სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი), 1961, მუხლი 15.

63 საქართველოში ლაპარაკობენ მრავალ უმცირესობის ენაზე: აფხაზური, ოსური, აზერბაიჯანული, სომხური, რუსული, უკრაინული, ქურმანჯი (ქურთული), ჩეჩნური (ქისტი), ოსმალურ-თურქული, პონტოური ბერძნული, სირიული, ავარული, წოვათუშური და უდიური. გარდა ამისა, უმრავლესობის ქართველი მოსახლეობა ოთხ განსხვავებულ ენაზე საუბრობს – ქართული, მეგრული, სვანური და ლაზური – თუმცა ესენი სასაუბრო ენებია, რომლებიც, როგორც წესი, არ იწერება. უმცირესობათა ენების უმეტესობა მხოლოდ ქვეყნის გარკვეულ რეგიონებში გამოიყენება. იმ ადამიანთა რიცხვი, ვისთვისაც მშობლიური ენაა: აზერბაიჯანული: 283,632, სომხური: 235,653, რუსული: 83,007, ოსური: 31,38. European Centre for Minority Issues, "Georgia and the European Charter for Regional or Minority Languages" (უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი, „საქართველო და რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია"), ECMI Working Paper # 42 (ECMI, ივნისი 2009), 4, 10, ხელმისაწვდომია: https://www.files.ethz.ch/isn/102089/working_paper_42_en.pdf.

64 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იქვე, შენიშვნა 12, მუხლი 29(გ).

უნდა ცხოვრობდეს აღმოსავლეთ ან დასავლეთ საქართველოში, იმისდა მიხედვით, თუ საქართველოს რომელ ნაწილში მდებარეობს ის რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესია დაგეგმილი. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოები იყოფა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის, ამიტომ, მაგალითად, დასავლეთ საქართველოში მდებარე ერთ-ერთი სასამართლოს ნაფიცი მსაჯული შეირჩევა მთელი დასავლეთ საქართველოს მაცხოვრებლებისგან. ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი რომელიც განაპირობებს ნაფიცი მსაჯულის დროული და ეფექტური წესით შერჩევის წარუმატებლობას.

მეხუთე და ბოლო მოთხოვნა ნაფიცი მსაჯულების მიმართ არის სათანადო ფიზიკური და ფსიქიკური უნარების ქონა რაც დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად იქნება აუცილებელი.[65] ეს ბუნდოვანი სამართლებრივი დებულება არ აკონკრეტებს ნაფიცი მსაჯულის ფიზიკური და ფსიქიკური უნარის სტანდარტს, რაც შეიძლება მოსამართლეებმა თვითნებურად და დისკრიმინაციულად გამოიყენონ. უკეთესი იქნებოდა, თუ კანონმდებლობა ნათლად დაადგენდა, რა შემთხვევებში შეიძლება პირი დისკვალიფიცირდეს ნაფიც მსაჯულთა სამსახურიდან სამედიცინო მიზეზების გამო. ზოგიერთ იურისდიქციაში კანონი დისკვალიფიკაციას უწესებს მხოლოდ მათ, ვისმა ფსიქიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია მათი დაწესებულებებში მოთავსება ან არაკომპეტენტურად ცნობა.[66] ბევრ დემოკრატიულ სახელმწიფოში ასევე იზრდება პრაქტიკა, რომელიც ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლებას აძლევს იყვნენ ნაფიცი მსაჯულების კანდიდატები. არსებობს შემთხვევები, როდესაც სასამართლოებმა ნება დართეს ყრუ პირებს ემსახურათ ნაფიც მსაჯულებად ჟესტების ენის თარჯიმნების დახმარებით.[67] ზოგიერთი ანტიდისკრიმინაციული სამართლის ადვოკატი ამტკიცებს, რომ სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები, რათა მათ შეძლონ ნაფიც მსაჯულებად მსახურობა.[68]

არსებობს ასევე ნაფიც მსაჯულთა დისკვალიფიკაციის საფუძვლების ნუსხა[69]. ეს ნუსხა სტანდარტულია და მრავალი იურისდიქციის მსგავსია, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. დისკვალიფიკაციის საფუძვლების პირველი კატეგორიაა პროფესიული დისკვალიფიკაცია, რომელიც გამორიცხავს გარკვეულ პროფესიებს ნაფიც მსაჯულთა მოვალეობისგან. ეს კატეგორია მოიცავს საჯარო მოხელეებს[70], სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ პროფესიას, საქართველოს

65 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იქვე, შენიშვნა 12, მუხლი 29(დ).

66 დევიდ ტანოვიჩი და სხვ., Jury Selection in Criminal Trials: Skills, Science, and the Law (ნაფიც მსაჯულთა შერჩევა სისხლის სამართლის საქმეებზე: უნარები, მეცნიერება და სამართალი) (Irwin Law, ტორონტო, 1997), 50.

67 ამირ ა. მაჯიდი, "Disability Per Se Is Not Bar to Jury Service" („თავად შეზღუდული შესაძლებლობა არ წარმოადგენს ნაფიც მსაჯულად ყოფნის აკრძალვას"), 1(1) Journal of Legal Technology Risk Managemet (სამართლებრივი ტექნოლოგიების რისკების მართვის ჟურნალი) (2007), 8.

68 ნილ ვიდმარი და ვალერი პ. ჰანსი, American Juries: The Verdict (ამერიკელი ნაფიცი მსაჯულები: განაჩენი) (Prometheus Books, ამჰერსტი, 2007).

69 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, op. cit., შენიშვნა 12, მუხ. 30.

70 „თანამდებობის პირი არის პირი, რომელიც დანიშნული ან არჩეულია სახელმწიფო-საბიუჯეტო დაწესებულების საშტატო თანამდებობაზე." საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მუხ. 6.

შეიარაღებული ძალების მოქმედ წევრებს და სასულიერო პირებს. კოდექსი არ აკონკრეტებს, თუ რომელი პროფესიები კვალიფიცირდება როგორც საჯარო მოხელეები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით, საჯარო მოხელეები მოიცავს კატეგორიებს, საიდანაც კოდექსი მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ გარკვეულ პროფესიონალებს გამორიცხავს. კერძოდ, ის მხოლოდ პროკურორებს, გამომძიებლებს, პოლიციის თანამშრომლებსა და დაცვის ადვოკატებს გამორიცხავს. ამასთან, ის არ გამორიცხავს მოსამართლეებს, სასამართლოს სხვადასხვა თანამშრომლებს, როგორებიც არიან თანაშემწეები, რეგისტრატორები, საპატიმრო და პრობაციის ოფიცრები და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრები და სხვა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები.

2016 წლის ცვლილებების შედეგად, ადვოკატები გახდნენ ნაფიც მსაჯულთა სამსახურის კვალიფიციური კანდიდატები. დისკვალიფიკაცია ვრცელდება მხოლოდ დაცვის ადვოკატების მიმართ. ამ დებულებამ შეიძლება გამოიწვიოს დისკვალიფიკაციის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. დაცვის ადვოკატები კვალიფიციური იურისტები არიან და ნებისმიერ ადვოკატს შეუძლია ნებისმიერ დროს წარმოადგინოს კლიენტები სისხლის სამართლის სასამართლო პროცესებში. მაგალითად, თუ ადვოკატი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ერთხელ იცავდა პირს და ახლა თითქმის ექსკლუზიურად უძრავი ქონების სამართალში მუშაობს, გაუგებარია, აქვს თუ არა მას უფლება, იმსახუროს ნაფიც მსაჯულად ამ პირის მიმართ წარმოებულ ახალ პროცესში.

კანონი არ იძლევა „სასულიერო პირის“ ტერმინის მკაფიო განმარტებას და არ აკონკრეტებს, შედიან თუ არა ბერები და მონაზვნები სასულიერო პირთა შემადგენლობაში და (ნეიტრალური ენის საფუძველზე ვვარაუდობთ, რომ ეს ეხება ყველა რელიგიურ ორგანიზაციას) არიან თუ არა სხვა რელიგიების, როგორიცაა ისლამი და იუდაიზმი, ლიდერები დისკვალიფიცირებული ნაფიც მსაჯულთა სამსახურიდან. აღსანიშნავია, რომ 2017 წლამდე კანონი ასევე გამორიცხავდა ფსიქოლოგებსა და ფსიქიატრებს.

დისკვალიფიკაციის საფუძვლების მეორე კატეგორიაა სისხლისსამართლებრივი წარსული. კერძოდ, კანონი გამორიცხავს ბრალდებულებს, სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ადრე ნასამართლევ პირებს და პირებს, რომლებიც ცნობილნი არიან დამნაშავედ ნარკოტიკული საშუალებების მცირე ოდენობით მოხმარების ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის. როდესაც კანდიდატების სია ბრმად დგება, ყველა შედის საერთო სიაში და სასამართლოებს არ გააჩნიათ მექანიზმები და პროცედურები დისკვალიფიცირებული კანდიდატების სხდომებზე მოწვევის თავიდან ასაცილებლად, რაც პროცესის გაჭიანურებას იწვევს. ეს გვაიძულებს გადავხედოთ სხვა იურისდიქციების პრაქტიკას, სადაც მსგავსი პრობლემები მოგვარდა დისკვალიფიცირებული მოქალაქეების/პერსონალის ცალკე ერთიანი სიის შექმნით, რათა ოპტიმიზებულიყო მოწვევის პროცედურები და დრო.

როგორც კვლევა გვიჩვენებს, პრობლემა მნიშვნელოვანია და სერიოზულად უთხრის ძირს სისტემის ეფექტურობას. საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით (აშშ, კანადა, არგენტინა) პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა არის მიდგომა, როდესაც სასამართლო

ადგენს პოტენციურ ნაფიც მსაჯულთა სიას და პროცესი იყოფა ორ თანმიმდევრულ ეტაპად, ორი განსხვავებული შერჩევის კითხვარით. თავდაპირველად, პირველი საკვალიფიკაციო კითხვარები გამოიყენება პოტენციურ ნაფიც მსაჯულთა საერთო სიის შესაქმნელად ნებისმიერი კონკრეტული სასამართლო პროცესისგან დამოუკიდებლად და ეს უფლება ენიჭება კონკრეტულ რაიონულ სასამართლოს. შეიძლება არსებობდეს გარკვეული რაოდენობის ნაფიც მსაჯულთა კანდიდატები, წინასწარ შერჩეული ზოგადი უფლებამოსილების კრიტერიუმების საფუძველზე თითოეულ რეგიონში. ეს სია შეიძლება განახლდეს ყოველწლიურად და გადამოწმების შემდეგ ეს სია შეიძლება ჩაითვალოს სამუშაო ნუსხად. ამ სიაში მყოფმა ადამიანებმა იციან, რომ მათ მაღალი ალბათობით გამოიძახებენ ნაფიც მსაჯულებად მოცემული წლის განმავლობაში. კანდიდატების მეორე შერჩევა გამოიყენება პროცესის წინ და მოიხმარს განსხვავებულ კითხვარებს პოტენციური მიკერძოების დასადგენად ან სასამართლოში მიმდინარე კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ხელისშემშლელი ფაქტორების თავიდან ასაცილებლად. წინასწარი შერჩევისა და ნაფიც მსაჯულთა კოლეგიების სისტემის შექმნის იდეა, წინასწარ შერჩეული კანდიდატების, რომლებიც უფრო ოპერატიულად და ეფექტურად გამოიძახებიან, შესაძლოა გადაჭრას ქვემოთ აღწერილი გაწეილი შერჩევითი სხდომების პრობლემების უმეტესობა.

4.5. ნაფიცი მსაჯულების მოწვევა და გამოძახება

4.1. პროცესის მოკლე აღწერა – როგორ მუშაობს?

კოდექსი არეგულირებს ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების შერჩევას.[71] კანონის თანახმად, მას შემდეგ, რაც ბრალდებული მოითხოვს საქმის ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით განხილვას, მოსამართლესთან მხარეების პირველი მოსამზადებელი შეხვედრა იმართება, რათა დაიწყოს კანდიდატების შერჩევა. ეს შეხვედრა სასამართლო დარბაზში ტარდება, ის ღია მოსმენაა და მოსამართლე ამომრჩეველთა სიიდან ადგენს ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების პირველ სიას.[72] სასამართლო კანდიდატებს ფოსტით უგზავნის მოსაწვევებს სტანდარტულ კითხვარებთან ერთად, რომელიც კანდიდატმა უნდა შეავსოს და ხუთი დღის ვადაში დააბრუნოს. პროცესს სასამართლოს თანამშრომლები მართავენ.

ნაფიცი მსაჯულების კანდიდატების შესარჩევად ამომრჩეველთა სია გამოიყენება.[73] ამომრჩეველთა სია ორ ნაწილს შეიცავს, რომლებიც მოიცავს შესაბამისად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს. სასამართლოები ადგენენ კანდიდატების სიას შემთხვევითი შერჩევის (random drafting) გზით. მოწვევები ეგზავნება შესაბამისი რეგიონის 300 კანდიდატს და ისინი გამოიძახებიან შესარჩევ პროცესში მონაწილეობის მისაღებად ორ თანამიმდევრულ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფში 150 კანდიდატით. კანდიდატები ასევე იღებენ სტანდარტულ კითხვარს, რომელიც უნდა შეავსონ და სხდომამდე დაუბრუნონ სასამართლოს მენეჯერს.

71 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ზემოთ მითითებული წყარო, შენიშვნა 12, მუხ. 221-224.

72 იქვე, მუხ. 221(1).

73 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იქვე (op. cit.), შენიშვნა 12, მუხ.221.1; 221.4; 221.5.

შესარჩევი პროცესი ღიაა და საშუალებას აძლევს მხარეებს, დასვან კითხვები, ინიცირება მოითოხოვონ დასაბუთებულ აცილება (challenges for cause) და გამოიყენონ შეზღუდული რაოდენობის დაუსაბუთებელი აცილება (peremptory challenges) (ექვსი სტანდარტულ სასამართლო პროცესზე და 10 აცილება თითოეული მხარის მიერ სამუდამო საპატიმრო სასჯელის განმსაზღვრელ პროცესზე).[74] მას შემდეგ, რაც შეირჩევა 12 ძირითადი და ორი სათადარიგო ნაფიცი მსაჯული, მოსამართლე ნიშნავს სასამართლო სხდომებს. მოსმენა იმართება შეფერხებების გარეშე და განაჩენი გამოტანილია კვალიფიციური უმრავლესობით (მუხლი 261).

2023 წლისთვის ყველა სასამართლოს აქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესების ჩატარების გამოცდილება: თბილისის სასამართლო – 31 საქმე 41 ბრალდებულის წინააღმდეგ, ქუთაისის სასამართლო – 9 საქმე 9 ბრალდებულის წინააღმდეგ, გორის სასამართლო – 4 საქმე 6 ბრალდებულის წინააღმდეგ, რუსთავის სასამართლო – 1 საქმე 2 ბრალდებულის წინააღმდეგ, ზუგდიდის სასამართლო – 1 საქმე 1 ბრალდებულის წინააღმდეგ. თელავის სასამართლომ რამდენიმე შესარჩევი მოსმენა გამართა, თუმცა ბოლოს ბრალდებულმა უარი თქვა მსაჯულებზე და აირჩია მოსამართლის მიერ საქმის განხილვა (bench trial).[75]

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის ნაკლად მიიჩნევა ნაფიცი მსაჯულების შერჩევის ხანგრძლივი და არაეფექტური პროცესი. ნაფიცი მსაჯულების შერჩევას შეიძლება დასჭირდეს 10-12 სხდომა და გაგრძელდეს რამდენიმე კვირა. ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ბოლო დროს შერჩევის პროცესი უფრო ეფექტური გახდა თბილისში, თუმცა ნაფიცი მსაჯულების შესარჩევად სამი-ოთხი სხდომა მაინცაა საჭირო.[76]

გაჭიანურების ძირითად მიზეზად კანდიდატების დაბალი გამოცხადება ცხადდება. საწყისი სიიდან ინდივიდების დაახლოებით 60-80% ვერ ცხადდება, რადგან სასამართლოს მოხელეები ვერ ახერხებენ კანდიდატების პოვნას ოფიციალურად რეგისტრირებულ მისამართზე. ეს ხშირად არასწორად აღიქმება, როგორც სასამართლოს ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობად. მათგან, ვინც იღებს მოწვევის წერილს, 50%-ზე მეტი ცხადდება სხდომაზე და მათი დაახლოებით 30% მზად არის მონაწილეობა მიიღოს ნაფიცი მსაჯულების სახით. უმეტეს შემთხვევაში, ოფიციალურ კანდიდატთა სიაში შეტანილი ყოველი ასი კანდიდატიდან მხოლოდ ორი ან სამი ირჩევა და ერთ სხდომაზე შერჩეული კანდიდატების საშუალო რაოდენობა ერთი ან ორია. 12 ძირითადი და ორი სათადარიგო ნაფიცი მსაჯულის შესარჩევად სასამართლოებს მრავალი სხდომა სჭირდებათ.

35 შესარჩევი მოსმენიდან გაანალიზებული მონაცემების მიხედვით, გამოცხადების საშუალო პროცენტი იყო 17%. საერთო ჯამში, ამ 35 შესარჩევ მოსმენაზე სასამართლოს მიერ გამოძახებული 3600 კანდიდატიდან შეირჩა 59 კანდიდატი. ეს რიცხვები მძიმე სანახავია და

74 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იქვე (op. cit.), შენიშვნა 12, მუხ.222 და 223.

75 ინფორმაცია მიღებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოდან.

76 ეს შეიძლება მიეწეროს შემდეგ მიზეზებს: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფრო ადრე შემოღება თბილისში 2011 წელს და, შესაბამისად, უფრო გამოცდილი სასამართლოები და მხარეები; კანდიდატებთან უკეთესი წვდომა მაღალი სიმჭიდროვის და ქალაქში მარტივად გადაადგილების გამო.

ძალიან არახელსაყრელ სურათს ხატავს, რაც მეტ ყურადღებას და სისტემის გაუმჯობესების მოთხოვნას აჩენს.

გამოკითხული იურისტების აზრით, შერჩევის პროცესში ყველაზე დიდი პრობლემა კანდიდატების მოწვევის პროცედურა იყო პროცედურის თანახმად[77], სასამართლო იყენებს ამომრჩეველთა სიას და მოსაწვევი და სტანდარტული კითხვარი ეგზავნება ამომრჩეველთა სიაში რეგისტრირებულ მისამართზე იმ კანდიდატს, რომელიც სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ცხოვრობს.[78] პროცედურა არ არის ეფექტური შემდეგი მიზეზების გამო: ყველა არ ცხოვრობს ამომრჩეველთა სიაში მითითებულ მისამართზე. მოსაწვევებისა და კითხვარების დიდი რაოდენობა ვერ მიდის ადრესატამდე მხოლოდ იმიტომ, რომ საარჩევნო რეესტრში მითითებული ოფიციალური მისამართი არ არის კანდიდატის საცხოვრებელი მისამართი.

საქართველოში ფორმალური რეგისტრაცია სავალდებულო არ არის და თუ მფლობელები ქონებას არ ყიდიან, ძალიან იშვიათია, რომ ვინმემ ფორმალური რეგისტრაცია შეიცვალოს.[79] როდესაც მოსაწვევები მეზობლებს ან ოჯახის წევრებს რჩებათ, მიმღებები ოფიციალურ პასუხისმგებლობას არ იღებენ, რომ ის კანდიდატს გადასცენ. შიდა შრომითი მიგრაციის ყოვლისმომცველი კვლევა არ ჩატარებულა, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მოსახლეობის დიდი ნაწილი აქტიურად მიგრირებს ახლომდებარე ქალაქებსა თუ დედაქალაქში, ქირით ცხოვრობს ფორმალური რეგისტრაციის გარეშე. შესაბამისად, წერილები კანდიდატების სულ მცირე ნახევარს არ აღწევს.

პრობლემა, რომელიც იურისტებმა ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების დროს ახსენეს, კანდიდატების ტელეფონის ნომრებზე შეზღუდული წვდომა იყო. სასამართლოებს ეკრძალებათ სატელეფონო ბაზებთან წვდომა, თუმცა, როგორც ერთმა იურისტმა თქვა, „კომპანიები, მაღაზიები, პოლიტიკური პარტიები ყველანი გვირეკავენ, რათა თავიანთი პროდუქციის რეკლამა გაგვაცნონ ან თავიანთ კამპანიებში მიგვიწვიონ. რატომ არ უნდა ჰქონდეს სასამართლოს უფლება, რომ მიიღოს ტელეფონებზე წვდომა და კანდიდატებს პირდაპირ დაურეკოს? სატელეფონო ზარები წერილებზე ბევრად უკეთესია, რადგან სასამართლოდან მიღებული წერილები ადამიანების უმეტესობისთვის დამაშინებლად ჟღერს, ხოლო სატელეფონო საუბრისას უფრო ადვილი იქნება ამ შიშის მოხსნა და მოკლედ ახსნა, თუ რატომ ურეკავს მათ სასამართლოს წარმომადგენელი.“[80]

მოსამართლეთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათ შეუძლიათ გამოიტანონ განაჩენი, რომელიც ნებისმიერ დაწესებულებას მისცემს უფლებას, გამოიყენოს პირადი ინფორმაცია,

77 იქვე, მუხ. 221(1); 221(5).

78 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის #1/150 დადგენილება „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნისა და მათი განსჯადობისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4788612?publication=0.

79 ირინა ბადურაშვილი, მამუკა ნადარეიშვილი, „ემიგრაციისა და სოფლიდან ქალაქში მიგრაციის სოციალური გავლენა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. საბოლოო ქვეყნის ანგარიში საქართველოს შესახებ“ (ევროკომისია, 2012), ხელმისაწვდომია: http://ec.europa.eu/social/BlobServlet?docId=8862&langId=fr.

80 ანონიმური ინტერვიუ დაცვის ადვოკატთან, გორი, 2018 წლის 30 აპრილი (ტრანსკრიპტი ავტორებთან ინახება).

მათ შორის მობილური ტელეფონის ნომრები, მაგრამ პარადოქსულად, თავად სასამართლოებს არ ჰქონდათ ამ მონაცემებზე წვდომის უფლება ბოლო დრომდე.[81]

ადვოკატის ინტერვიუდან: „კანდიდატებს ფოსტით იწვევენ. რატომ უნდა გადადო პროცესი, როცა დარეკვა გაცილებით ადვილია? ერთხელ სასამართლო პროცესის მხარე ვიყავი და მოსამართლის თანაშემწემ უბრალოდ დამირეკა, არანაირი წერილი არ გამოუგზავნია. ეს ზარი რომ არ მიმეღო, სასამართლო პროცესს გამოვტოვებდი.“[82]

რადგანაც პოტენციურ ნაფიც მსაჯულთან დაკავშირება ტელეფონით გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე ფოსტით, რესპონდენტებმა რეკომენდაცია გაუწიეს პროცედურის გამარტივებას და სასამართლოებისთვის მობილური ტელეფონის ნომრებზე წვდომის უფლების მინიჭებას, რაც გაამარტივებდა მოწვევის წერილებისა და კითხვარების მიწოდებას.[83] კვლევის გუნდმა რეკომენდაცია გაუწია სატელეფონო საუბრებზე წვდომის ინიციატივას სამეცნიერო კონფერენციებზე. პარლამენტმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და მოსამართლეებს მიენიჭათ კანდიდატების ტელეფონის ნომრების გამოყენების უფლება.

ლოგისტიკური სირთულეების გამო, დამკვიდრდა პრაქტიკა როცა სოფლებში მცხოვრებ მოქალაქეებთან კიტხვარები მიჰქონდათ ადგილობრივი თვითმმართველობის ან ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლებს. კვლევის რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ზოგჯერ პოლიციელები ან ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლები „ეხმარებიან“ კანდიდატებს კითხვარის შევსებაში.[84] წიგნიერების პრობლემა თავის როლს თამაშობს, მაგრამ ფოკუს ჯგუფების და სიღრმისეული ინტერვიუების მონაწილეებმა მიუთითეს, რომ ამ პრაქტიკის ძირითადი მიზეზი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების შესახებ ინფორმაციის სრული ნაკლებობაა.[85]

ამომრჩეველთა სიის ორ ნაწილად დაყოფა დამატებით პრობლემას წარმოადგენს სასამართლოებისთვის. სასამართლოების იურისდიქციით დაფარული გეოგრაფიული არეალი ძალიან დიდია და მთიანი ლანდშაფტის გამო ბევრ ადგილას მისვლა რთულია მოკლე დროში. ეს ახანგრძლივებს კითხვარების პოტენციურ კანდიდატებთან მიტანისა და მათგან შეგროვების პროცესს.

კვლევის ფარგლებში გაჩნდა რეკომენდაცია, რომ ქვეყნის ნახევრიდან ხალხის შერჩევის ნაცვლად, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა შერჩევის შევიწროება მცირე გეოგრაფიულ რეგიონებზე და, ნაფიც მსაჯულთა მიკერძოების არსებობის შემთხვევაში, ჰქონოდათ მკაფიო სტანდარტები საქმის სხვა იურისდიქციაში გადასატანად[86].

81 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილება, 221-ე მუხლი, 2 ივლისი, 2020 წელი.

82 ანონიმური ინტერვიუ ადვოკატთან, თელავი, 5 ივნისი, 2018 წელი (ჩანაწერი ინახება ავტორებთან).

83 ეს რეკომენდაცია წარედგინა დაინტერესებულ მხარეებს პირველი კონფერენციის დროს, 2018 წლის 1 მაისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, და ასევე გაჟღერდა შემდგომ შეხვედრებზე ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან. 2019 წლის ბოლოს ეს ხდება საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.

84 ანონიმური ინტერვიუ ჟურნალისტთან, გორი, 1 ივნისი, 2018 წელი (ჩანაწერი ინახება ავტორებთან).

85 საველე ანგარიში ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფებისთვის, აპრილი-ივნისი, 2018 წელი. კვლევითი პროექტი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმა საქართველოში: პირველი ნაბიჯები და პირველი გამოწვევები“ (ინახება ავტორებთან).

86 ანონიმური ინტერვიუ ადვოკატთან, თბილისი, 25 აპრილი, 2018 წელი (ჩანაწერი ინახება ავტორებთან).

იყო შემტხვევები, როცა ადვოკატები უარყოფით როლს ასრულებდნენ მართლმსაჯულების განხორციელებაში. ადვოკატების ერთიუ ნაწილი მსაჯულობის კანდიდატებს ასწავლიდა პროცესისგან თვაის არიდების სხვადასხვა გზას: „რა თქმა უნდა, ბევრი შეეცდება პროცესს გაექცეს, მაგრამ უფრო შემაშფოთებელია, როდესაც ადვოკატები ცუდ სამსახურს უწევენ სისტემას იმით, რომ ურჩევენ კანდიდატებს, შეებრძოლონ დაცვის ადვოკატებს შერჩევის პროცესში, რაც მოსამართლისთვის მათი დათხოვნის უტყუარი არგუმენტი იქნება. ეს დაცვის ადვოკატები ბევრს უწევენ საკონსულტაციო მომსახურებას, რადგან მათ აქვთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების ცოდნის რეპუტაცია და ბევრი ადამიანი კონსულტაციას მათთან გადის“ – გორი.[87]

ზოგჯერ, დაცვის მხარეს აქვს სტრატეგია, რომ გაახანგრძლივოს შერჩევის პროცესი, რათა მან გადააჭარბოს წინასწარი პატიმრობის 9-თვიან ლიმიტს[88], და მას შემდეგ, რაც ბრალდებული გათავისუფლდება წინასწარი პატიმრობის დაწესებულებიდან, მიიჩნევა, რომ საქმე შესრულებულია;

პროცედურების დარღვევები ასევე უარყოფითად მოქმედებს მის ეფექტიანობაზე. ზოგიერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ზოგჯერ ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლები ეხმარებიან კანდიდატებს მოსამართლის მიერ გაგზავნილი კითხვარის შევსებაში. ამ მიზეზით, კითხვარში მითითებული პასუხები შესაძლოა სულაც არ ასახავდეს კანდიდატის პოზიციას.

ეს კარგი მანიშნებელია არა მხოლოდ სამართლებრივი ეთიკის პრობლემისა, არამედ იმისა, რომ საჭიროა მუშაობა პროფესიონალებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ფართო საზოგადოებასთან, რათა უკეთ იქნას გაგებული სისტემა, გაიაზრონ რეფორმის ღირებულება და ინდივიდების როლი.

წინამდებარე სტატია ამტკიცებს, რომ შერჩევის პროცესის ორ ეტაპად გაყოფა, როგორც ეს ზემოთ არის შემოთავაზებული, უზრუნველყოფს ამ ქვეპუნქტში აღწერილი პრობლემების გადაწყვეტას და ხელს შეუწყობს მის დაჩქარებასა და ხარჯთეფექტიანობას.

4.6. სასამართლო პროცესისთვის მზადება და თვითაცილება

შევსებული კითხვარების შეგროვების შემდეგ, ისინი ურიგდებათ მხარეებს და ინიშნება პირველი მოსმენა. როგორც წესი, მხარეებს მოსმენამდე აქვთ რამოდენიმე დღე, თუმცა ზოგჯერ კითხვარები მიეწოდებათ მოსმენის დაწყებამდე ერთი ღამით ადრე. თითოეულ სესიაზე გამოძახებულია 150 კანდიდატი, რაც სიის ნახევარია (მუხ. 221.5), თუმცა უკვე აღვნიშნეთ, რომ 35 შერჩევის მოსმენის მონაცემებზე დაყრდნობით, გამოცხადების საშუალო მაჩვენებელი იყო 17% ანუ 20-30 კანდიდატი.

87 ანონიმური ინტერვიუ ადვოკატთან, გორი, 1 ივნისი, 2018 წელი (ჩანაწერი ინახება ავტორებთან).

88 ქართული კანონმდებლობა ნებისმიერი წინასწარი პატიმრობისთვის ცხრათვიან ვადას ადგენს. საქართველოს კონსტიტუცია, op. cit., შენიშვნა 20 და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, op. cit., შენიშვნა 12.

როდესაც კანდიდატები მოდიან სასამართლოში, ისინი გადაჰყავთ ცალკე ადგილას, ენიჭებათ ნომრები და მხოლოდ ამ პროცედურის დასრულების შემდეგ უშვებენ სასამართლო დარბაზში: „როცა შევედი შენობაში, ხალხი იყო ჰოლში. ველოდით და შემდეგ მოვიდა სასამართლოს თანამშრომელი და იკითხა, ვინ იყვნენ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები ჩვენ შორის. ზოგიერთმა ადამიანმა დაადასტურა და მათ სთხოვეს, მიახლოებოდნენ სასამართლო დარბაზს. ჩვენ დავრჩით და ვუყურებდით, თუ როგორ აიდენტიფიცირებდნენ თავს და იღებდნენ ნომრებს. მას შემდეგ, რაც მათ დაიწყეს ოთახში შესვლა, ჩვენც მოგვეცა შიგნით შესვლის უფლება. დავაკვირდი, რომ ჩვენ შორის იყვნენ ბრალდებულის ნათესავები, მაგრამ ისინი მშვიდად იყვნენ და ხელი არ შეუშლიათ პროცესისთვის. პროკურორი და დაცვის ადვოკატიც შემოვიდნენ და დაიკავეს ადგილები. როდესაც დავსხედით, ბრალდებულები შემოვიდნენ სასამართლო დარბაზში. ისინი ისხდნენ ბარიერის უკან, რომელიც ღია იყო. მათ თან ახლდნენ ფორმიანი პოლიციელები.[89]"

პროცედურა თითქმის იდენტურად გამოიყურებოდა ყველა სასამართლოში. რუსთავის სასამართლოში კანდიდატები თავიდანვე იყვნენ განცალკევებულნი სხვა დამსწრეებისგან. ისინი მეორე სართულზე აიყვანეს, სადაც მათ მიეცათ ნომრები, და სასამართლო დარბაზში ისინი შემოვიდნენ ხელში ნომრიანი ბარათებით: „ადრე მივედი და სასამართლოს შენობის წინ ხალხი უკვე ელოდა. ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო და სასამართლოს მანდატურმა იკითხა, იყვნენ თუ არა ჩვენ შორის კანდიდატები. მე ასევე ვნახე სასამართლოს თანამშრომელი სიით, რომელიც ამოწმებდა კანდიდატებს. შევედი შენობაში."

სასამართლო პროცესები ღიაა საზოგადოებისთვის[90] და კვლევითი პროექტის გუნდის მიერ დაქირავებულმა სასამართლო მონიტორებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბრალდებულისა და დაზარალებულის ნათესავები ავსებდნენ სასამართლო დარბაზს და ცდილობდნენ ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენას.[91] მოსამართლეები ხელს უშლიდნენ ასეთ მცდელობებს, მაგრამ ეს მაინც იწვევს მოსმენების დაგვიანებას, ამიტომ საჭიროა ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

მონიტორებმა ასევე შენიშნეს, რომ შესვენებების დროს კანდიდატები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ შენობაში: „შესვენებების დროს საკმაოდ ახლოს ვიყავი კანდიდატებთან, რომლებიც დარბაზში დადიოდნენ, მაგრამ არასოდეს მახსოვს მათ ადვოკატებთან საუბარი, ერთ-ერთი შესვენებისას სასამართლოს შენობაში მდებარე ერთ სასადილოში ვივახშმეთ კიდეც."

პირველი მოქმედება, რომელსაც მოსამართლე აკეთებს კითხვების ეტაპზე გადასვლამდე, არის კანდიდატებისთვის კითხვა, აქვს თუ არა რომელიმეს თვითაცილების მიზეზი. კანონის თანახმად[92], თვითაცილება შეიძლება მოითხოვოს კანდიდატმა, ის უნდა იყოს დასაბუთებული

89 სასამართლოზე დაკვირვების ანგარიში 2019 (ავტორებთან დაცული).

90 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, op. cit., შენიშვნა 12, მუხ. 222(1).

91 სასამართლოზე დაკვირვების ანგარიში 2019, op. cit., შენიშვნა 89.

92 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, op. cit., შენიშვნა 12, მუხ. 223(7) და (8).

და მხარეებს უფლება აქვთ ჩაერიონ თავიანთი არგუმენტებით. მოსამართლე არის ის, ვინც წყვეტს, დააკმაყოფილოს თუ არა მოთხოვნა, და გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

მონიტორინგის ჯგუფი დააკვირდა, რომ ხშირად თვითაცილება ხდებოდა პირადად მოსამართლის წინაშე და, შესაბამისად, მიზეზები მონიტორებისთვის უცნობი იყო. უმეტეს შემთხვევაში მოსამართლეები აკმაყოფილებდნენ ასეთ მოთხოვნებს. მოსამართლეები, ასევე, ხშირად აკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს საკმარისი დასაბუთების გარეშე. მოთხოვნების ყველაზე დიდი რაოდენობა ეხებოდა კანდიდატების ჯანმრთელობის პრობლემებს და მრავალ შემთხვევაში სასამართლოს არ განუხილავს არგუმენტი.

ოთხი ძირითადი მიზეზი, რომლებსაც კანდიდატები იყენებენ თვითაცილებისთვის[93]:

- ჯანმრთელობა – 50%
- სამსახურთან დაკავშირებული არგუმენტები – 40%
- რელიგია და რწმენა – 3%
- დანაშაულით დაზარალება ან კრიმინალური წარსულის ქონა – 7%.

რელიგია და რწმენა – საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მხრიდან ან რომელიმე რელიგიური ჯგუფის რომელიმე ლიდერისგან არ გაჟღერებულა ოფიციალური პოზიცია, თუ როგორ უყურებენ ისინი ნაფიც მსაჯულთა კოლეგიაში მონაწილეობას, და შესაბამისად, არგუმენტი დიდწილად ეფუძნება კანდიდატების ინდივიდუალურ რწმენას, რომ მათი რელიგიური და ეთიკური შეხედულება არ აძლევს მათ საშუალებას, გამოიტანონ განაჩენი.

ხანდახან, კანდიდატები ასახელებენ ინფორმაციის ნაკლებობას და პროცესის არცოდნას, როგორც თვითაცილების საფუძველს.

სასამართლო პროცესების მონიტორინგმა აჩვენა, რომ სასამართლოს მიერ გამოძახებული 3600 კანდიდატიდან მხოლოდ 582 კანდიდატი გამოცხადდა და ამ 582 კანდიდატიდან 419-მა მოითხოვა თვითაცილება – დაახლოებით 72%. მონაცემები აჩვენებს, რომ შესწავლილ სასამართლო პროცესებზე ყველა მოთხოვნის 80% დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ, რის შედეგადაც საშუალოდ 8 კანდიდატი გადადიოდა პროცესის გამოკიტხვის ნაწილში. კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი მიდგომა პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ნაფიცი მსაჯულების ეფექტურად დაკომპლექტებას.

93 სასამართლო მონიტორინგის ანგარიში 2019, op. cit., შენიშვნა 89.

4.7. კანდიდატების დაკითხვა და აცილება დასაბუთებული მიზეზით

როგორც კი სასამართლო ასრულებს თვითაცილების განხილვას, იწყება გამოკითხვა. რესპონდენტებს, რომლებიც ყველაზე უკეთ იცნობდნენ პროცესს, გამოკითხვის ხარისხზე საკმაოდ უარყოფითი შეხედულება აქვთ.[94]

პროკურორები და დაცვის ადვოკატები ხშირად ვერ ახერხებენ აცილებისთვის მყარი არგუმენტების მოყვანას, თუმცა მოსამართლეები მაინც ასრულებენ მოთხოვნას და კანდიდატებს გამორიცხავენ. თვითაცილების სუსტი არგუმენტები ასევე პრობლემაა, რის გამოც დღის ბოლოს სასამართლო დარბაზებში სკამები ცარიელი რჩება. ეს ტენდენციები უფრო მეტად აშკარაა იმ სასამართლოებში, რომლებმაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დანერგვა სულ ახლახან დაიწყეს.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ სხდომის განმავლობაში დასმული კითხვები კითხვარის კითხვებისგან არ განსხვავდება. „იშვიათი იყო, რომ კითხვები მოიცავდა ისეთ შეკითხვებს, რაც უკვე კითხვარში არ იყო. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ბევრი რამ სიტყვების გარეშე ხდებოდა," – ამბობს კვლევის ერთ-ერთი დამკვირვებელი.[95] ამ პრაქტიკას შეიძლება სხვადასხვა ახსნა ჰქონდეს და ყველაზე ხშირად გვსმენია, რომ პირველივე პასუხებიდან გამომდინარე, გამოცდილ ადვოკატს უკვე აქვს კანდიდატის ფსიქოლოგიური პორტრეტი და ღრმა გამოძიების საჭიროება აღარ არის.[96]

რამდენიმე ადვოკატმა აღნიშნა, რომ ისინი კანდიდატებს სამ ჯგუფად ყოფენ: ლიბერალები (დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებების მიმართ უფრო ტოლერანტულები იქნებიან), შუალედურები (ორივე მიმართულებით შეიძლება შეცვალონ პოზიცია) და ხისტი პოზიციის მქონენი (არიან ძალიან რაციონალურები, უემოციოები, შეუძლიათ ყოყმანის გარეშე მიიღონ გადაწყვეტილებები). ინტერვიუებიდან აშკარა იყო, რომ სტრატეგია ნათელი იყო, მაგრამ მონიტორინგმა გამოავლინა სირთულეები განხილვისას, რასაც ქვემოთ ხაზი გაესმება.

გამოკითხვა ტარდებოდა მორიგეობით, ჯერ პროკურორის, შემდეგ კი დაცვის ადვოკატის მიერ. საშუალოდ, თითოეული მხარე შვიდ კითხვას სვამდა და მოსმენა თითქმის ხუთ საათს გრძელდებოდა. კანდიდატთა რაოდენობისა და დასმული კითხვების გათვალისწინებით, მთელ პროცესზე დახარჯული დრო არაეფექტურად გამოიყენებოდა. შეფერხებები დიდწილად გამოწვეული იყო იმით, რომ მოსამართლეს დრო სჭირდებოდა მოთხოვნებზე გადაწყვეტილების მისაღებად, ასევე ადვოკატებსა და მოსამართლეს შორის იმართებოდა ხანგრძლივი კერძო დისკუსიებით.

რამდენიმე კითხვას ადვოკატები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ:

- ენდობიან თუ არა კანდიდატები სამართალდამცავ ორგანოებსა და მათ განცხადებებს?

94 იქვე.

95 ინტერვიუ სასამართლოს დამკვირვებელ მ. მ.-სთან, 2020 წლის 23 თებერვალი (ჩანაწერი ინახება ავტორებთან).

96 ანონიმური ინტერვიუ დაცვის ადვოკატთან, 2020 წლის 15 მარტი (ჩანაწერი ინახება ავტორებთან).

- ენდობიან თუ არა კანდიდატები ვიდეო ან აუდიო ჩანაწერის სახით წარმოდგენილ მტკიცებულებებს?
- მიაჩნიათ თუ არა კანდიდატებს, რომ თავდაცვის მიზნით ჩადენილი მკვლელობა უნდა განიხილებოდეს როგორც ზოგადი მკვლელობის საქმე?

იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის თითქმის 20% სისტემას აბსოლუტურად არ ენდობა და მხოლოდ 5%-ს აქვს ნდობა, ხოლო გამოკითხულთა 53% მიიჩნევდა, რომ ქართული სასამართლო სისტემა 'მმართველი პარტიის გავლენის ქვეშაა', 48% რომ ის 'მიკერძოებულია', და 43% რომ ის 'მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის კონტროლის ქვეშაა' და მხოლოდ 25%-მა განაცხადა, რომ სასამართლოები 'სამართლიანი'[97] იყო, აშკარა ხდება, რომ ნაფიცი მსაჯულის შერჩევა ძალიან რთული პროცესია, როდესაც სტანდარტად ბრმა ნდობას ვიღებთ.

ასევე გაუგებარი რჩება შემდგომი კითხვების როლი და მიმართება მსაჯულობის კანდიდატების შერჩევის პროცესთან. შედეგი კი ყველაფერზე მეტყველებს. ყოველი შესწავლილი პროცესი დასრულდა არცერთი ან მაქსიმუმ ორი კანდიდატის შერჩევით, რომელთა ნაწილიც დაუსაბუთებელი აცილების ეტაპზე აარიდეს მხარეებმა.

სამართლის პროფესიონალებთან ჩატარებულმა სიღრმისეულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ნაფიც მსაჯულთა შერჩევაში განსხვავებული მიდგომები არსებობს.

პირველ რიგში უყურებენ ნაფიცი მსაჯულების დამატებით „კვალიფიკაციას", რაც მოიცავს:

- როგორია წიგნიერება და განათლების დონე ;
- აქვს თუ არა ნდობა სამართალდამცავი ორგანოების მიმართ (ძირითადად პროკურორების, მოსამართლეების მიმართ, მაგრამ დაცვის მხარის ადვოკატები არ აპროტესტებენ ამ კითხვებს);
- წარმოდგენილი მტკიცებულებებისადმი ნდობა;
- რელიგიის შესახებ კითხვები;
- მსჯავრდების უნარი.

რეფორმის დასაწყისში, ორივე მხარე (ბრალდება და დაცვა) ცდილობდა შეერჩია „სანდო" ნაფიცი მსაჯულები (ისინი, ვისაც ჰქონდათ ლოგიკური განსჯა, იყვნენ კონცენტრირებულები და უფრო გულმოდგინეები, პატივს სცემდნენ კანონის ავტორიტეტს, არ იყვნენ სიმპათიით განწყობილნი კრიმინალური ჯგუფების მიმართ – ეს უკანასკნელი არგუმენტი განსაკუთრებით მგრძნობიარეა, ორგანიზებული დანაშაულის ხანგრძლივი ისტორიისა და ე.წ. „კანონიერი ქურდების"[98] გათვალისწინებით, რაც კვლავაც ახდენს გავლენას სოციალური ღირებულებების

97 კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრები, იხ. ზემოთ, შენიშვნა 4.

98 ლუიზ შელი, ერიკ რ. სკოტი, & ენტონი ლატა, *ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია საქართველოში* (Routledge, ლონდონი, 2007).

ჩამოყალიბებასა და ახალგაზრდების აზროვნების ფორმირებაზე[99]), მაგალითად, საშუალო ასაკის, 40 წელს გადაცილებული ქალები უმაღლესი განათლებით და სტაბილური დასაქმებით. როგორც წესი არჩევდნენ მასწავლებლებს ან ადმინისტრატორებად საჯარო დაწესებულებებში და ბანკებში დასაქმებულებს.[100] რეფორმის მეორე ფაზაში ეს მიდგომა შეიცვალა და მნიშვნელოვანი მკაფიო პრეფერენციები აღარ არსებობდა, თუმცა ორივე მხარის წარმომადგენელი მიესალმება უფრო მეტ ახალგაზრდას.[101]

კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთი მოსამართლე და ზოგადად იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები სრულად არ ენდობოდნენ საზოგადოებას, რადგან: 1) ეშინოდათ, რომ ქართულ საზოგადოებას აქვს ზედმეტად კრიმინალური მენტალიტეტი და ფორმალური სამართლებრივი სისტემებისადმი დაპირისპირების ისტორია და იხელმძღვანელებს „დევიანტური“ ღირებულებებით, 2) რიგითმა მოქალაქეებმა არ იციან კანონი და ზოგადად გაუნათლებლები არიან, რაც იურისტებს უნდობლობით გაანწყობს მათ მიმართ. რიგითი მოქალაქეების ჩართულობის მიმართ საერთო წინააღმდეგობას, რომელიც ასე ნათლად გამოხატეს იურისტებმა და ე.წ. „ელიტამ“[102], ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ადრეულ პერიოდშიც ვხვდებით.[103] უნდა იტქვას ისიც, რომ იურისტები ძალიან ცუდი ქართულით მეტყველებენ, რაც გაუგებარია ფართო საზოგადოებისთვის.,[104] 3) არსებულ ხელისუფლებას საზოგადოების მიმართ განსაკუთრებული უნდობლობა აქვს.

პოტენციური ნაფიცი მსაჯულებისთვის კონკრეტული ასაკის ან სქესის პრეფერენციები ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების დროს არ გამოხატულა, თუმცა, იმერეთში, დასავლეთ საქართველოში, გარკვეული სკეპტიციზმი გამოითქვა ახალგაზრდა მამაკაცების (30 წლამდე) უნარის მიმართ, რომ არ მოექცნენ სხვების გავლენის ქვეშ და იაზროვნონ კრიტიკულად და დამოუკიდებლად. ნაწილობრივ, ეს შეიძლება მიეწეროს ამ სოციალურ ჯგუფში არსებულ სავარაუდო კრიმინალურ ღირებულებებს ან სამოქალაქო აქტივიზმის ნაკლებობას.

მონიტორინგმა ასევე ცხადყო, რომ პროკურორები და მოსამართლეები მიდრეკილნი იყვნენ გამოერიცხათ განსხვავებული აზრის მქონე და კრიტიკულად მოაზროვნე პირები, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენონ სახელმწიფოს მტკიცებულებების სანდოობა. შეხედულებების რეტროსპექტული ცვლილებაც შეინიშნა, მაგრამ უფრო სიღრმისეული განხილვისთვის ცალკე კვლევას საჭიროებს.

99 კავკასიის ახალგაზრდული ნექსუსი, ახალგაზრდების დამოკიდებულება მართლმსაჯულების, სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ (თბილისი, მაისი 2017), ხელმისაწვდომია: http://caynex.ge/en/caynex-survey-youth-feelings-about-justice-judiciary-and-law-enforcement/.

100 ანონიმური ინტერვიუები ადვოკატებთან თბილისში (11-30 აპრილი 2018), გორში (1 ივნისი 2018) და ქუთაისში (30 მაისი 2018) (ჩანაწერები ინახება ავტორებთან).

101 იქვე.

102 მედიის მონიტორინგის ანგარიში, ციტ. ნაშრ. (op. cit.), შენიშვნა 6.

103 ლევან რამიშვილი & თამარ ჩერგოლეიშვილი, „გობლინების მარში: მუდმივი რევოლუცია საქართველოში,“ სტეფენ ფ. ჯონსის (რედ.), თანამედროვე საქართველოს შექმნა, 1918–2012 (Routledge, ლონდონი, 2014).

104 ანონიმური ინტერვიუ დაცვის ადვოკატთან, გორი, 1 ივნისი 2018 (ჩანაწერი ინახება ავტორებთან).

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ დასაბუთებული აცილების საფუძვლები ძალიან ბუნდოვანია და ხშირ შემთხვევაში გაუგებარი რჩება, თუ კონკრეტულად რამ გამოიწვია აცილება და რა იყო რეალური საფუძველი მხარეებისთვის, უარი ეთქვათ კანდიდატზე.

4.8. დაუსაბუთებელი აცილება

დაუსაბუთებელი აცილება იშვიათად გამოიყენებოდა და ძირითადად მიმართული იყო ახალგაზრდა ნაფიცი მსაჯულებისკენ, რომლებიც მოტივირებული იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ პროცესში. პირად ინტერვიუებში ადვოკატები კრიტიკულად აფასებდნენ აქტიურ ნაფიც მსაჯულებს და მათ რისკიან მონაწილეებს უწოდებდნენ, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დისკუსიაზე და საკუთარი პოზიცია წამოწიონ, ნაცვლად იმისა, რომ მიჰყვნენ მხარეების მიერ შეთავაზებულ თეორიას. აშკარაა, რომ ამ ეტაპზე არსებობს შეთანხმება ფსიქოლოგიური პორტრეტების გარშემო და თუ სასამართლო რაიმე მიზეზით უარს ამბობს დასაბუტებელი აცილების დაკმაყოფილებაზე, მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ დაუსაბუთებელი აცილების უფლება და საქმეს ჩამოაშორონ მათი აზრით "დაუმორჩილებელი" კანდიდატი. კანონის თანახმად, დასაბუთებული აცილების რაოდენობა შეუზღუდავია, მაგრამ დაუსაბუთებელი აცილების რაოდენობა შეზღუდულია: 10 აცილება იმ დანაშაულებზე, რომლებიც ისჯება უვადო პატიმრობით, ხოლო სხვა შემთხვევებში მხარეებს აქვთ 6 დაუსაბუთებელი აცილება.[105]

დაფიქსირდა, რომ ზოგჯერ ადვოკატები ცდილობენ გააჭიანურონ სასამართლო პროცესი, ვიდრე ბრალდებულისთვის წინასწარი პატიმრობის ვადა ამოიწურება.[106] სასამართლოებს არ აქვთ ჩარევის მექანიზმები და ჩვენთვის უცნობია შემთხვევები, როდესაც მხარეების მიმართ დისციპლინური ზომები იქნა გამოყენებული გაჭიანურების მცდელობის გამო.

5. შეჯამება და შემდგომი კვლევის საკითხები

ამ სტატიაში წარმოდგენილი კვლევა აჩვენებს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმა საკუთარ ადგილს იმკვიდრებს საქართველოში. ასევე, აღმოჩნდა, რომ ნაფიცი მსაჯულების შერჩევა რჩება საკვანძო გამოწვევად საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმის ეფექტიანი განხორციელებისთვის.

105 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იხ. ზემოთ მითითებული წყარო, შენიშვნა 12, მუხ. 223.

106 ადვოკატებთან ანონიმური ინტერვიუები გორში (2018 წლის 1 ივნისი) და თბილისში (2018 წლის 25 აპრილი და 5 მაისი). (ჩანაწერები ინახება ავტორებთან).

რაც მთავარია, ნაფიცი მსაჯულების შერჩევასთან დაკავშირებული პრობლემები ორგვარია: ერთის მხრივ, ლოგისტიკური და ორგანიზაციული, და მეორეს მხრივ, იდეოლოგიური და ჯერ კიდევ არსებულ მიკერძოებულ პოზიციებთან დაკავშირებული. იდეოლოგიური წინააღმდეგობა რეფორმის მიმართ ყოველთვის იარსებებს და უმნიშვნელოვანესია, რომ პროფესიულ საზოგადოებებს შორის დიალოგი შენარჩუნდეს კრიტიკული ანალიზისა და პარტნიორობის სულისკვეთების შესანარჩუნებლად, რაც გადამწყვეტია რეფორმების წარმატებული განხორციელებისთვის. იურიდიულ პროფესიაში დიალოგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩვენმა კვლევამაც გამოავლინა, რომ ბევრი ადვოკატი არ მონაწილეობს პროფესიულ დებატებში კოლეგებთან და ისინი, ვინც მონაწილეობენ, იშვიათად აქცევენ ყურადღებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

ინსტიტუციური სირთულეების მოგვარება შედარებით უფრო რთულია და კვლავაც ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი. კვლევამ დააფიქსირა ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების გამოცხადების უკიდურესად დაბალი მაჩვენებელი. გამოძახებული კანდიდატების მხოლოდ 20% მოდის ნაფიცი მსაჯულების შერჩევაზე. ამას გარდა, კანდიდატების დიდი ნაწილი სასამართლოს თვითაცილების შუამდგომლობით მიმართავს. კვლევამ დაადგინა, რომ თვითაცილების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი არის სამუშაო ადგილის დატოვების შეუძლებლობა, რადგან საქართველოში მოქალაქეთა დიდი ნაწილი თვითდასაქმებულია. კომპენსაციის სისტემა კანდიდატებისთვის მხოლოდ მგზავრობისა და განთავსების ხარჯებს ითვალისწინებს, ასევე მსგავს კომპენსაციას ნაფიცი მსაჯულებისთვის. კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია, თვითდასაქმებულ კანდიდატებს შეთავაზონ ადეკვატური კომპენსაცია, რათა მათ ჰქონდეთ ფინანსური უსაფრთხოების განცდა მოვალეობის შესრულების დროს.

დასასრულს, სტატია განსაზღვრავს რამდენიმე საკითხს შემდგომი განხილვისთვის. შესაძლოა კანონის კომპლექსური რეფორმის საჭიროება არსებობდეს, თუმცა ამავდროულად, საჭიროა საზოგადოების ფართო ინფორმირება. საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება, სკოლებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ სწავლება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ძალისხმევა უფრო ფართო უნდა იყოს და მოითხოვს სახელმწიფოსგან მუნიციპალური შენობების, სკოლის შენობების, სახელმწიფო ორგანიზებულ შეხვედრებისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის გამოყენებას, რათა მოხდეს ინფორმირება და განათლება ნაფიც მსაჯულთა სისტემისა და მისი მოქალაქეობასთან კავშირის შესახებ. ცნობიერების ამაღლების კამპანია არის წარმატების გასაღები და ამჟამად ამ საკითხზე ძალიან მცირე რამ კეთდება.

მეორე მიმართულებაა დაცვის მხარის ადვოკატების უნარების განვითარების აუცილებლობა და მუშაობა მათთან, ვისაც მეტი პრაქტიკა აქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებში, ასევე ნდობის ჩამოყალიბებას დაცვის მხარის ადვოკატებსა და პროკურორებს შორის, რომლებიც მონაწილეობენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებში. ფოკუს ჯგუფების ზოგიერთი მონაწილის მიერ შემოთავაზებული იყო, რომ შერეული ტრენინგი არის ეფექტიანი გზა არა მხოლოდ ინფორმაციისა და ცოდნის გასაზიარებლად, არამედ პროკურორებსა და დაცვის მხარის ადვოკატებს შორის მომავალი თანამშრომლობისა და ეთიკური პროფესიული ურთიერთქმედების საფუძვლის შესაქმნელად.

შერჩევის ეტაპის შემდგომი რეფორმის საჭიროება აშკარაა და სტატია გვთავაზობს უფრო ღია მიდგომას ამ საკითხის მიმართ. სტატიის ავტორებს ესმით კანონის მეშვეობით რეფორმის განხორციელების სირთულე, მაგრამ ნაფიცი მსაჯულების შერჩევის რეფორმა აუცილებელია სისტემის სარგებლის სრულად გამოსაყენებლად. ზემოთ შემოთავაზებული იყო, რომ ნაფიცი მსაჯულების კანდიდატთა ბაზის შექმნა საკვალიფიკაციო კითხვარების გამოყენებით შეუძლია დააჩქაროს პროცესები, გახადოს ის უფრო ეფექტიანი და ეკონომიური. 5000 მოქალაქის შემთხვევითი გამოკითხვა ყოველ სასამართლოში ყოველწლიურად საკმარისი იქნება, რათა მოხდეს საკმარისი რაოდენობის კანდიდატების შერჩევა მინიმუმ 10 სასამართლო პროცესისთვის, რაც ადეკვატური რაოდენობაა ამჟამინდელი დატვირთვის გათვალისწინებით.

დასკვნით სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის, ხარისხიანი და მდგრადი ნაფიც მსაჯულთა სისტემის დანერგვა იქნება ძლიერი საშენი ბლოკი დემოკრატიზაციისა და აქტიური მოქალაქეობის შემდგომი კონსოლიდაციისთვის. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მოქალაქეებმა ნაფიც მსაჯულთა სამსახური ღირსების საქმედ აღიქვან და ნაფიც მსაჯულებს საზოგადოების წევრები პატივისცემით მოეპყრონ. უკანასკნელი ცხრა წლის გამოცდილებამ კიდევ ერთხელ გაიმეორა ისტორიული ჭეშმარიტება, რომ არ არსებობს სრულყოფილი სისტემები და ყოველთვის არის გაუმჯობესების ადგილი. გადამწყვეტია, რომ დრო გონივრულად იქნას გამოყენებული და საჭირო რეფორმები არ გადაიდოს, რათა მოთხოვნის ზრდისას სისტემა მზად იყოს ეფექტიანად რეაგირებისთვის.